პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

№ 168 (18410) ოთხშაბათი, 21 ივლისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

> ...სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მზარდი ამოცანები პარტიული კომიტეტებისაგან მოითხოვს კვლავაც სრულყონ თავიანთი საქმიანობის ფორმები და მეთოდები, აამაღლონ კომუნისტების, ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, ყოველნაირად დაამკვიდრონ მუშაობის შემოქმედებითი სტილი.
>
> სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

60 კვლავაც ვიმოქმედოთ გაბედულად, ვიმუშაოთ შეუპოვრად!

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, ყველა მშრომელი უდიდესი ინტერესით ეცნობა და მხურვალედ იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

ახალ გამარჯვებათა შთამაგონებელი

დიდად მნიშვნელოვანია დღევანდელი დღე საქართველოს ყველა მშრომელისათვის — კვლავ და კვლავ მღელვარებით ვკითხულობთ პრესაში გამოქვეყნებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სსრ კავშირის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ და კანონიერი სიამაყის გრძნობა გვეუფლება.

დადგენილებაში სხვა მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად აღნიშნულია წარმატებები მეცნიერებისა და კულტურის დარგში. ამასთან დაკავშირებით შეუძლებელია არ გავიხსენოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართული პლენუმი, რომელიც მთლიანად მიეძღვნა ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარების უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს.

ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობისათვის, კერძოდ, მეცნიერებისათვის განსაკუთრებით უცხოა და შეუწყნარებელი კარჩაკეტილობა, ხელოვნური ზღუდეები, ამიტომაც იპყრობს ესოდენ ყურადღებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ის ნაწილი, რომელიც სსრ კავშირის ერთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს ეძღვნება.

კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ზრუნვა და ყურადღება ახალ-ახალი გამარჯვებებისათვის შთაგვაგონებს და გვრაზმავს. ორიოდე სიტყვით მინდა მოგახსენოთ ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტზე, სადაც მე ვმუშაობ. შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ჩვენი ინსტიტუტის მუშაობის საკითხი, დასახა უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც წარმატებით ხორციელდება. ყოველი ჩვენგანი ძალზე გახარა იმ ამბავმა, რომ თურმე, ეს იყო პირველი შემთხვევა მთელ ჩვენს ქვეყანაში, როცა ექიმთა დახელოვნების საკითხი ასეთ მაღალ პარტიულ დონეზე განიხილებოდა. ვფიქრობ, ეს ფაქტიც ნათლად ახასიათებს ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის სტილს. სიახლისადმი, კონკრეტულობისა და სიღრმისადმი მისწრაფებას მნიშვნელოვან პრობლემათა შესწავლისა და გადაწყვეტის დროს. სწორედ ეს არის ჩვენი გამარჯვების მთავარი საძირკველი, ასე დიდი შეფასება რომ მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, და მომავალ უფრო მნიშვნელოვან მიღწევათა უპირველესი საწინდარიც. ეს გვაძლევს რწმენას განვაცხადოთ: საბჭოთა საქართველოს მშრომელები, საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სახელოვნად შეხვდებიან ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხთა ძმობის ბრწყინვალე დღესასწაულს — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს, ღირსეულ წვლილს შეიტანენ პარტიის დიად მიზანდასახულობათა განხორციელებაში.

ს. ხეჩინაშვილი,
სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ლენინური პრემიის ლაურეატი.

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ

ოცდახუთი წელია თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში ვშრომობ. ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია ჩემი კოლექტივის გარეშე, აქ ჩამოვყალიბდი როგორც პიროვნება, მუშა ადამიანი, ჩემ გვერდით საქმიანობენ ქართველები, რუსები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები...

საწარმო, რომელშიც ასე მხარდამხარ ვშრომობთ და ვიღწვით, რევოლუციური და ინტერნაციონალური მეგობრობის დიდი ტრადიციების მქონეა და რაოდენ სასიხარულოა, რომ ეს ტრადიციები დღესაც შეუნელებელი ენერგიით გრძელდება. ჩვენი კოლექტივი მუდამ მოწინავეთა რიგებშია. სახელმწიფო გეგმებს ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ვასრულებთ. ამ მიღწევებში დიდი წვლილი შეაქვთ როგორც ქართველ, ისე რუს, სომეხ მუშებსა თუ სპეციალისტებს.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ როგორი ენთუზიაზმითა და შემართებით ვშრომობთ ერთიან ძმურ ოჯახში. საქართველოში მცხოვრები მრავალი ერის წარმომადგენლები ვიღწვით სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ამჟამად თითოეული კეთილმოსურნე მშრომელის ვალია ახალი შრომითი წარმატებებით შევხვდეთ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს. ჩვენს საწარმოში საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება კარგა ხანია გაშლილია. თითოეული კვირა აქ დამკვრელურად არის გამოცხადებული. შრომითი მეტოქეობა გვეხმარება კარგი შედეგების მოპოვებაში, ახალი სახელების გამოვლენაში.

რ. ადამოვი,
თბილისის ელექტრო-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ელექტროზეინკალი, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი.

თავდადებული შრომით ვუპასუხებთ

ჩვენი სოფლის მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

დადგენილებაში პირდაპირ ხაზგასმულია, რომ რესპუბლიკაში ხორციელდება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყოველმხრივი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ღონისძიებანი. ჭეშმარიტად თვალსაჩინოა ამ ღონისძიებათა სიკეთე გუდაუთის რაიონის სინამდვილეში. ჩვენი რაიონის მშრომელებისათვის მეტად დიდმნიშვნელოვანი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება „გუდაუთის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ეს დოკუმენტი ჩვენი რაიონის შემდგომი წინსვლის დიდ ღონისძიებებს სახავს. დღეს რაიონის მშრომელები თავდადებით იბრძვიან დასახული პროგრამის განხორციელებისათვის. რაიონში შექმნილია სპეციალური შტაბი, რომელიც კონტროლს უწევს აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობას.

მართლაც, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია მითითებული, განუზომლად დიდია ზრუნვა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი რომ იჩენს გუდაუთის რაიონის მიმართ.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე არაერთხელ იყო ჩვენს რაიონში, პირადად დაინტერესდა მთელი რიგი კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის მდგომარეობით, იმით, თუ როგორ სრულდება ესა თუ ის საქმე, როგორია სამუშაოთა დამთავრების პერსპექტივა. უნდა ითქვას, რომ ასევე დიდ დახმარებას გვიწევს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი.

აღმავლობის გზაზეა რაიონის სოფლის მეურნეობა, რომლის თითქმის ყველა დარგი სწრაფად ვითარდება და ამ დიდ საქმეში სათანადო წვლილი შეაქვთ ჩვენი სოფლის მშრომელებსაც. არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად ისინი წარმატებით ართმევენ თავს ჩაის ფოთლის კრეფისა და ფაბრიკისათვის მაღალხარისხოვანი ნედლეულის მიწოდების დავალებას.

რაიონის მშრომელები ყველაფერს ვიღონებთ ჩვენ წინაშე დასახულ დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის.

ნ. საქანია,
გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „დურიფშის“ მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

მომწოდებელი, დამრაზმველი

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური ჩვენი ეპოქის პოლიტიკური საფუძველი გახდა. ამის საუკეთესო მაგალითია საბჭოთა აჭარა, სადაც ასამდე ერის წარმომადგენელი ხელიხელჩაკიდებული შრომობს.

ჩაქვის რუსულ საშუალო სკოლაში 15 ერის შვილი სწავლობს. ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, ბულგარელები, მოლდაველები ერთად უსხედან მერხებს. ინტერნაციონალიზმის გრძნობა მათ მშობლებისაგან გადაეცათ. ჩაქვის საბჭოთა მეურნეობას აშენებდა ოცი ერის წარმომადგენელი. შემდეგ მათ მრავალი ინტერნაციონალური ოჯახი შექმნეს.

ჩვენი სკოლის შესანიშნავ კოლექტივს რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად ახალი შთაგონება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ესოდენ განსაკუთრებულმა შეფასებამ. ჩვენს მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ ახალი სამეურნეო და პოლიტიკური აღმავლობით შეხვდნენ საბჭოეთის დიად იუბილეს.

ი. აფხაზავა,
ჩაქვის რუსული საშუალო სკოლის დირექტორი, აჭარის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი.

ძმობის ძალა

საბჭოეთის ცის ქვეშ ლაღად სუნთქავს ყველა ერისა და ეროვნების ადამიანი. ასეა ჩვენს რესპუბლიკაში, ჩვენს ოლქში. ცხინვალის მომინანქრებული სადენების ქარხნის კოლექტივი ინტერნაციონალურია. აქ ერთმანეთის მხარდამხარ ძმურად ვშრომობთ ქართველები, რუსები, ოსები, სომხები... ერთიანი, შეხმატკბილებული საქმიანობით ვაღწევთ გამარჯვებებს, საწარმომ ექვსი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა. მეამაყება ასეთ კოლექტივში შრომა. ძმური შრომის საუკეთესო პირობები ჩვენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა შეგვიქმნეს. ისინი დღენიადაგ ზრუნავენ ხალხთა შორის ძმობის გაღრმავებისათვის. ინტერნაციონალურ მეგობრობას სასურველი ნაყოფი აქვს; ეს ხაზგასმით არის აღნიშნული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიულ დადგენილებაშიც.

ერთიანი თუ არის დასი, მთას რომ შეებას, მთაც აფრინდებაო,— უთქვამს ოსი ხალხის სასიქადულო მგოსანს კოსტა ხეთაგუროვს. ჩვენ ერთიანი ბრძოლით ვქედავთ ნათელ მომავალს. სანამ ასეთი შეკავშირება და ძმობა არის, ვერავითარი მტერი ვერ დაგვამარცხებს...

ს. პლიევი,
მომინანქრებული სადენების ქარხნის მუშა, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი.

მაღალი შეფასება გვავალებს

ახლა ჩვენს რაიონში საადრეო კარტოფილის მოსავლის აღების ცხარე დღეებია. ყველას კარგად გვახსოვს, რომ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მაისის პლენუმზე, ამოცანად დაგვისახა საადრეო კარტოფილის წარმოების მკვეთრად გაზრდა. ეს მოწოდება პირდაპირ ჩვენზე თქმულად მივიღეთ, რადგან ბოლნისის რაიონი რესპუბლიკის საადრეო კარტოფილის 70 პროცენტს აწარმოებს.

და აი, ახლა, სწორედ მოსავლის აღებისას შევიტყვეთ, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „სსრ კავშირის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. დიდი შეფასება მიეცა რესპუბლიკის კომუნისტთა შრომას. ჩვენი მეურნეობის მშრომელებს გვახარებს ის ფაქტი, რომ როგორც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რესპუბლიკაში მიღწეული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-ამზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტის შედეგები განაპირობა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მაღალმა დონემ, მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფამ, მასებთან პარტიულ ორგანიზაციათა კავშირის განმტკიცებამ.

რესპუბლიკის კომუნისტთა შრომის ასეთი მაღალი შეფასება ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს ბევრს გვავალებს.

ერთი სიტყვით, წლეულს სახელმწიფოს 10.500 ტონა საადრეო კარტოფილს მივყიდით. ამით ჩვენს წვლილს შევიტანთ სკკპ XXVI ყრილობის დავალებათა განხორციელებაში, პირნათელნი შევხვდებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მე-60 წლისთავს.

უ. ჰუსეინოვი,
ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ამ ადამიანებისათვის და კიდევ მრავალი მათი თანამშრომლისათვის დიდი და თბილი ინტერნაციონალური კერაა კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა, ხოლო თბილისი — მშობლიური ქალაქი. თავიანთი ერთგული, თავდადებული შრომით ისინიც ქმნიან რესპუბლიკის ხვავსა და ბარაქას, სახელსა და ავტორიტეტს მატებენ მას.

ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გუშინ ქარხნის № 8 სამწყობო საამქროში გადაიღო, როცა ზეინკალი ს. ანდრო, მღებავი მ. ქობესოვა, უფროსი ოსტატი გ. ფავლენიშვილი, ამწყობი ზეინკალი ვ. რებრინი, მღებავი დ. ციხელაშვილი და ზეინკალი ა. გასპაროვი ერთმანეთს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მიღებულ შთაბეჭდილებას უზიარებენ.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

განვახორციელოთ სასურსათო პროგრამა

• •

მეცხოველეთა ზაფხულის საზრუნავი

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

● წლეულს 6 თვეში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა შემცირდა აჭარის და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, თეთრი წყაროს, თიანეთის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ყვარლისა და გეგეჭკორის რაიონებში.

● ხორცის დამზადების ნახევარი წლის გეგმების რეალიზაციას თავი ვერ გაართვეს ბოგდანოვკის, გორის, ყაზბეგის, ონის, ახალციხის, ახალქალაქის, მარნეულის რაიონების და ჭიათურის ზონის მეცხოველეებმა.

● წველადობა შემცირდა თიანეთის, ახმეტის, ლაგოდეხის, ონის, წითელწყაროს და დუშეთის რაიონებში

რესპუბლიკის მეცხოველეები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, დღეს სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ზრუნვით ცხოვრობენ. სწორედ ახლა, ზაფხულის საძოვრულ სეზონში აქვთ მათ შესაძლებლობა აწარმოონ მთლიანი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ პერიოდის განსაკუთრებით ნაყოფიერად გამოყენება მართებთ იმ ფერმების მუშაკებს, რომლებმაც განვლილ 6 თვეში გეგმა-ვალდებულებები ვერ შეასრულეს, ხოლო იქ, სადაც საქმე წინ წაიგდეს, მოპოვებული პოზიციები კიდევ უფრო უნდა განამტკიცონ.

პროდუქციის წარმოების შემდგომი ზრდისათვის კარგი საძირკველი აქვთ ჩაყრილი წლის პირველ ნახევარში ლენტეხის რაიონის ფერმების მუშაკებს, რომლებმაც მეცხოველეობის გაძღოლის ინტენსიური მეთოდების მარჯვედ გამოყენებით სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის გეგმები შესაბამისად 121 და 108 პროცენტით შეასრულეს.

6 თვეში რძის და ხორცის შესამჩნევი მატება ჰქონდათ კასპის, ხაშურის და მაიაკოვსკის რაიონების მეცხოველეებს. მაიაკოვსკელებმა სახელმწიფოს ჩააბარეს საგეგმოზე 27 ტონით მეტი ხორცი, ხოლო კასპელებმა — 13 ტონით მეტი. ხაშურის რაიონში, სადაც სარძეე მეცხოველეობის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის ღონისძიებებს ახორციელებენ, სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების გეგმას 80 ცენტნერით გადააჭარბეს.

პირუტყვის კვების გაუმჯობესების, სავეტერინარო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელების მეოხებით საქონლის სულადობა გაადიდეს ხობის, ვანის, გურჯაანის, გარდაბნის რაიონებში.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველა ფერმის საქმიანობა არ შეესაბამება სასურსათო პროგრამის მოთხოვნას, რომ მთლიანად გადავიდნენ მეცხოველეობის გაძღოლის ინტენსიურ მეთოდებზე და მნიშვნელოვნად გაადიდონ პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის წითელწყაროს რაიონში, სადაც ცხვრისა და თხის სულადობა შეამცირეს 10 პროცენტით, ხოლო კვერცხმდებელი ქათმებისა — 19 პროცენტით. აქ დამზადების ნახევარი წლის გეგმას დააკლეს 648 ტონა ხორცი. რაიონს რძის დამზადებაში ბოლო ექვსი წლის მანძილზე ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვს განვლილ 6 თვეში. წველადობაში ასეთივე სავალალო მდგომარეობა აქვთ ახმეტის რაიონის მეცხოველეებს. აქ დამზადების 6 თვის გეგმა მხოლოდ 82 პროცენტით არის რეალიზებული. ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ნახირის სტრუქტურაში 11 პროცენტით შეამცირეს ფურების ხვედრითი წილი, და რაც ჰყავთ, იმასაც ჯეროვნად ვერ უვლიან. ამის გამო მცირეა წველადობა.

წველადობამ მნიშვნელოვნად იკლო და 6 თვის გეგმების შესრულებას თავი ვერ გაართვეს თიანეთის, ლაგოდეხის დუშეთისა და ონის რაიონებშიც.

პირუტყვის ინტენსიურ სუქებას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სიღნაღის, ორჯონიკიძის, დუშეთის, საჩხერისა და ახალქალაქის რაიონებში, სადაც ბოლო ხუთ წელიწადში პირუტყვის ჩასაბარებელი საშუალო წონა ყველაზე ნაკლებია. ამ მხრივ ჩამორჩებიან საჩხერელი, დუშელი და ზუგდიდელი მეცხოველეები. ეს გარემოება ხელს უწყობს რესპუბლიკაში პირუტყვის სულადობის შემცირებას, აკლებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ტემპს. მაგალითად, იმის გამო, რომ მჭლე პირუტყვს აბარებენ და მოსახლეობაშიც შემცირდა ხორცის შესყიდვა, ახალქალაქის რაიონში დამზადების 6 თვის გეგმის შესრულებას 138 ტონა დააკლდა. ხორცის დამზადების გეგმების რეალიზაციაში დიდი ჩამორჩენა აქვთ გორის, ყაზბეგის, ონის, ახალციხისა და მარნეულის რაიონებსა და ჭიათურის ზონის მეცხოველეებს. ეს საქმე ცუდად არის დაყენებული ამბროლაურის და ქარელის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში.

ამ რაიონების ფერმის მუშაკების გადაუდებელი ამოცანაა პირუტყვის ზოოტექნიკური მოვლის გაუმჯობესებით, წვნიანი საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფისა და ულუფის შეწონასწორებით საძოვრულ პერიოდშივე აანაზღაურონ პროდუქციის დანაკლისი. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის ერთ-ერთი პირობაა შრომისა და ანაზღაურების სწორი, ზუსტი ორგანიზაცია, თითოეული ფერმის რეზერვების რაც შეიძლება სწრაფად ამოქმედება.

ამ საქმეში გადამწყვეტია კომუნისტების მებრძოლურობა. ისინი სანიმუშო გარჯის მისაბაძ მაგალითს უნდა იძლეოდნენ სსრ კავშირის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში.

მეხილეთა რესპუბლიკური შეკრების წინ

გზა დიდ ბაღებამდე

ერთი ინსტიტუტის ლაბორატორიებსა და საცდელ ნაკვეთებში

აქ ყველაფერი ისეა მოვლილი, კაცს ეგონება რომელიმე სანიმუშო სამკურნალო დაწესებულება ან სანატორიუმიაო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ავადმყოფებს ვერ ნახავთ. ინსტიტუტის შენობის კარმიდამო ბაღ-ვენახებშია ჩაფლული, თვით ეზო-ყურეს კი მარადმწვანე მცენარეთა გაზონები და ყვავილნარები ამშვენებს. კაბინეტ-ლაბორატორიებში მეცნიერი მუშაკები ვაზისა და ხეხილის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების საკითხებსა და ახალ-ახალ რეკომენდაციებზე მუშაობენ, სოფლის მშრომელებს ეხმარებიან პროდუქტების სიუხვის შექმნაში.

ავიღოთ ხეხილის სელექციის განყოფილება. აქ დამუშავდა თემა „თესლოვან კულტურათა ჯიშების გამოყვანისა და შერჩევისათვის საქართველოს სსრ სხვადასხვა ზონაში“. თემაზე მუშაობდნენ განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი შ. ახვლედიანი, უფროსი მეცნიერი მუშაკი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ფერაძე, მეცნიერი მუშაკები მ. ბაიაძე და ც. მირიანაშვილი.

ინსტიტუტის პატარა ხეხილის ბაღებში შობილი ბევრი სასიკეთო სიახლე დიდ ბაღებში გადადის. სკრის, თელავის, საქარის საცდელი სადგურების ბაზებში გაშენდა 600-მდე სხვადასხვა ჯიშის ხეხილის, ვაშლის, მსხლის და სხვა ბაღები.

ინსტიტუტის ექსპერიმენტულ ბაზებში გამოყვანილია და ამჟამად წარმოებაში ინერგება ვაშლის ახალი ჯიშები „ივერია“ და „გორული სინაპი“. ჩვენს რესპუბლიკაში ვაშლის ახალი საუკეთესო ჯიშების გამოყვანასა და შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ამჟამად ვაშლის ახალ ჯიშთა ნარგავებს 4000 ჰექტარი უჭირავს საქართველოში. იგი გაშენებულია ქართლის ცენტრალურ რაიონებში, მეხილეობის აგროსამრეწველო კომპლექსებში — ვარიანში, ხოვლეში, სამთავისში, თეძამში, კასპში.

ახლახანს სელექციონერებმა ჯიშთგამოსაცდელ ინსპექციას გადასცეს ვაშლის ახალი ჯიშები „არმაზი“, „მზიური“, „გალავნურა“, რომლებიც სულ მალე საწარმოო გამოცდას გაივლის.

ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები დიდ ყურადღებას უთმობენ მთის მეხილეობის განვითარების საკითხებს. ამ მიზნით, ზონების მიხედვით შერჩეულია მსხლისა და ვაშლის ახალი ჯიშები, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს დაცარიელებული მთის სოფლების აღორძინებას, იქ ხეხილის ბაღების გაშენებას.

შემოტანილია ბლის ახალი უკრაინული ჯიში, რომელსაც საუკეთესო თვისებები აქვს. მისი ნაყოფი წვრილი ვაშლის ზომისაა, ერთი ხე საშუალოდ 200 კილოგრამ მოსავალს იძლევა. ბლის ერთ-ერთი საუკეთესო ჯიშია აგრეთვე ახლად შერჩეული „ბაგრატიონი“, რომელიც უკვე ინერგება წარმოებაში.

სელექციონერები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად დანერგონ სუსტი ზრდის ხეხილის ჯიშები. ასეთი ხეხილი მალე შედის მსხმოიარობაში და ხის სიდაბლის გამო მოსაკრეფადაც მეტად მოსახერხებელია. ალუბლის სუსტი ზრდის საუკეთესო ჯიშია „კელერი“.

ხეხილის საუკეთესო ჯიშების გამოყვანისათვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია კლონური საძირეების შერჩევა. ამ თემას ეხება შ. ახვლედიანის, მ. ვარძელაშვილის, მ. მაჭარაშვილის, დ. ხაჩიძის ნაშრომი. ამ თემას ხეხილის სტანდარტული ჯიშებისათვის კლონური საძირეების შერჩევა ჰქვია.

შეირჩა საუკეთესო საძირეები ვაშლის, მსხლის, ატმის, ქლიავის, ბლის სტანდარტული ჯიშებისათვის, რომლებზეც დამყნობის შედეგად ხეხილის საუკეთესო ჯიშებს იღებენ.

საქართველოს მევენახეობის, მებაღეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები მიღწეულს არ სჯერდებიან, ლაბორატორიებში, საცდელ ბაღებში ბევრ სიახლეს ქმნიან, რომლებსაც წარმოება სიამოვნებით ნერგავს. გარდა ამისა ინსტიტუტის მუშაკები ხშირად არიან მებაღეობის საზოგადოებრივ მეურნეობებში, მეხილეებს ეხმარებიან სიახლეთა დანერგვაში, ხეხილის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, ხილის უხვი მოსავლის მიღებაში.

ლ. კილაძე.

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

20 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ მიიღო პოლონელ პარტიულ მუშაკთა ჯგუფი: მის შემადგენლობაში შედიან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სეიმის საკითხთა განყოფილების გამგე ე. შიმანსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ოპოლის სავოევოდო კომიტეტის პირველი მდივანი ე. მრუზი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე რ. ლუკაშევიჩი, ბელდის სავოევოდო კომიტეტის პირველი მდივანი ა. გდულია, ვალბჟიხის სავოევოდო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ნოვაკი.

ამხანაგმა ე. შევარდნაძემ პოლონელ სტუმრებს გააცნო წარმატებანი, რომლებიც საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ასრულებენ სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, როგორ ემზადებიან სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავისა და გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის პირველი მანიფესტის 200 წლის თავისათვის, განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რა დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი საქართველოს, ისევე როგორც ქვეყნის ყველა მოძმე რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, რაც ერთხელ კიდევ მკაფიოდ დადასტურდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

პოლონელმა ამხანაგებმა მადლობა გადაიხადეს გულთბილი და გულითადი მასპინძლობისათვის, ილაპარაკეს დიდ და პასუხსაგებ ამოცანებზე, რომლებსაც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი წყვეტენ თანამედროვე ეტაპზე.

საუბარს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ო. ქაჯაია. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 87 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ისიდორე სამსონის ძე დოლიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**	**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ი. ს. დოლიძის დაკრძალვის მოსაწყობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა კომისია ამხ. ნ. ა. ლანდიას თავმჯდომარეობით.

ი. ს. დოლიძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

პარტიული ქრონიკა

შინაპარტიული მუშაობის საკითხებზე

თბილისი, ორჯონიკიძის რაიონი. („კომუნისტის“ კორ.). „საქქალაქმშენპროექტის“ ბაზაზე ამას წინათ გაიმართა სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების პარტორგანიზაციათა მდივნების სემინარი. მოხსენებით „პირველადი პარტიული ორგანიზაციის როლი პარტიის რიგების თვისებრივი გაუმჯობესების შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისა და დაკისრებული საქმისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლების საქმეში“ — გამოვიდა „საქქალაქმშენპროექტის“ პარტბიუროს მდივანი თ. დუმბაძე. პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის დაგეგმვის ზოგიერთ საკითხზე დამსწრეთ ესაუბრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტის პარტბიუროს მდივნის მოადგილე ვ. სურმავა.

სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება, ისაუბრეს ნაკლოვანებებზე.

◆

ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლაში

წყალტუბო. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ერთი წელია, რაც პარტიის საქალაქო კომიტეტთან შეიქმნა ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლა. მასში 200 მსმენელია გაერთიანებული. იგი „საქგუმბარინის“ სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის ბაზაზე მუშაობს და აქვს ექვსი ჯგუფი.

ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლაში თეორიულ მეცადინეობასთან ერთად ხშირად ეწყობა სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებები, შეხვედრები ომისა და შრომის გმირებთან, ვეტერან კომუნისტებთან, სხვა წარჩინებულ ადამიანებთან.

ამას წინათ ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა გაიმართა ქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. სკოლის მსმენელები დაესწრნენ ცერემონიალს, რომლის დროსაც ვეტერან კომუნისტებს გადაეცათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული სამკერდე ნიშნები — „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში ყოფნის 50 წელი“.

ც. სიხარულიძე.

◆

კომისიები მოქმედებენ

აბაშა. („კომუნისტის“ საკ. კორ.). პარტიის აბაშის რაიკომი დიდ ყურადღებას აქცევს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიათა მუშაობის გაუმჯობესება-გააქტიურების საკითხს, ზრუნავს იმისათვის, რომ ამ კომისიათა ხელმძღვანელობაში აირჩიონ ავტორიტეტიანი, გამოცდილი მუშაკები, პრაქტიკულ რჩევა-დარიგებებსა და დახმარებას არ აკლებს მათ. ამას გარდა, რაიკომის ბიურო თავის სხდომებზე პერიოდულად ისმენს ამ კომისიათა ხელმძღვანელების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ.

ახლახან რაიკომის ბიურომ განიხილა ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიების ანგარიში. ერთ-ერთ მათგანს — სოციალისტური საკუთრების დაცვისა და დისციპლინის განმტკიცების კომისიას ხელმძღვანელობს სოციალისტური შრომის გმირი ელპიტე არველაძე.

ბიურომ დამაკმაყოფილებლად მიიჩნია პარტიული კონტროლის კომისიათა მუშაობა, მაგრამ ამასთანავე აღნიშნა მათი საქმიანობის ნაკლოვანებებიც, მიუთითა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებსა და საშუალებებზე.

◆

თეორიული კონფერენცია

ონი. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის პოლიტიკური განყოფილების კაბინეტის სხდომათა დარბაზში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა პარტიის რაიკომთან ერთად მოაწყო თეორიული კონფერენცია თემაზე: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმი სასურსათო პროგრამის შესახებ“. კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომის მეორე მდივანმა გ. ჩაგელიშვილმა.

მოხსენებებით „სსრ კავშირის შექმნის ისტორიული მნიშვნელობა“, „სასურსათო პროგრამის განხორციელების გზები და მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა“ და „სასურსათო პროგრამის იდეოლოგიური უზრუნველყოფა“ გამოვიდნენ დოცენტები ვ. ვ. რეხვიაშვილი, ვ. ი. რეხვიაშვილი და ლ. ა. ფრუიძე.

ვ. ცირეკიძე.

საქმით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას!

ხარისხის გაუმჯობესების მთავარი ფაქტორი

ანუ როგორ იბრძვიან ზუგდიდელი მეჩაიეები თავიანთი თანამემამულის თამარ ჟუჟუნიას ინიციატივის — „აღვუდგინოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება“ — განხორციელებისათვის

◆

ინიციატივა, რომელიც ზუგდიდში იშვა, რესპუბლიკის ყველა მეჩაიემ და ჩაის მრეწველობის მუშაკმა გულთან ახლოს მიიტანა, რადგან იგი დროულია. ჩაის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის ნიადაგის მომზადება ახალი საქმე როდია. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ ქართული ჩაის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება მის პარტიულ ორგანიზაციას ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახა მეთერთმეტე ხუთწლედში და იგი რესპუბლიკის ავტორიტეტის, პრესტიჟის საკითხად მიიჩნია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელი მაისის პლენუმზე მიღებულ სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამაშიც ჩაიწერა: „მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ჩაის ხარისხი, გაფართოვდეს მისი ასორტიმენტი“.

დიახ, ახლა, ამ ეტაპზე მეჩაიეებისათვის არ არსებობს უფრო დიდი ეროვნული საქმე, ვიდრე ქართული ჩაის ღირსების აღდგენაა.

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებიდან გასულ ორ თვენახევარში ნათელი გახდა, რომ პირველი დიდი წარმატებებია მოპოვებული ხარისხისათვის ბრძოლაში. მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა ერთობლივ ღონისძიებათა შედეგად საუკეთესო პროდუქციაა მიღებული.

მეჩაიეობის რაიონებს შორის ზუგდიდში ყველაზე მეტად იგრძნობა ბრძოლა როგორც ხარისხისათვის, ასევე რაოდენობისათვის. თუ შარშან რაიონში მოიკრიფა და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარდა 71 ათას 600 ტონა ხარისხოვანი ნედლეული, რაც საგეგმოს 10.600 ტონით აღემატებოდა, წლეულს სახელოვანმა მეჩაიეებმა მტკიცედ გადაწყვიტეს შარშანდელ მაჩვენებელზე 700 ტონით მეტი ნედლეული აწარმოონ (სულ სეზონში 72.300 ტონა), ნედლეულის 75 პროცენტი პირველი ხარისხის იქნება, ესე იგი შარშანდელზე 5 პროცენტით მეტი.

მოგეხსენებათ წლევანდელი ამინდის ჭირვეულობა, გამუდმებული კოკისპირული წვიმები, სეტყვა, წყალდიდობები, სიცივეები. ყოველივე ეს ჩაის კულტურასაც აკნინებს, მოსავალს ამცირებს, აუხეშებს. ასე იყო წელს მაის-ივნისში. მიუხედავად ამისა, ზუგდიდელმა მეჩაიეებმა ყველა რეზერვი მაქსიმალურად გამოიყენეს ამინდისაგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად და, მართალია, მაის-ივნისის გეგმა ვერ შეასრულეს, მაგრამ შარშანდელ ამ პერიოდთან შედარებით 15 ივლისისათვის 300 ტონით მეტი ჩაის ნედლეული დაამზადეს. რაიონში მოკრეფილი ნედლეულის პირველი ხარისხის ხვედრითმა წილმა 94,7 პროცენტს მიაღწია, რაც შარშან ამ დროისთვის დამზადებულ ნედლეულზე 12,1 პროცენტით მეტია, ხოლო რესპუბლიკაში წლეულს მაის-ივნისში დამზადებულზე — 13,5 პროცენტით.

ზუგდიდელ მეჩაიეთა ეს პირველი დიდი გამარჯვება — რაოდენობასთან ერთად ხარისხობრივი მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა მისასალმებელიც არის და მისაბაძიც, რაც პარტიის რაიონული კომიტეტის, რაისაბჭოს აღმასკომის, სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობის, მეჩაიეებისადმი ზრუნვის, უანგარო დახმარების შედეგია, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ წინასწარ განხორციელებულმა ღონისძიებებმა შეუწყო ხელი.

რესპუბლიკის ჩაის სამრეწველო გაერთიანებამ „საქართველოს ჩაიმ“ ივლისის პირველ რიცხვებში ზუგდიდის საწარმოო გაერთიანების ჩაის ფაბრიკებში ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ხარისხის შესამოწმებლად მიავლინა სპეციალისტები ო. ქიქოძე და ს. ბარათაშვილი.

შემოწმების შედეგებზე ვესაუბრეთ გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ უფროსის მოადგილეს ლ. ხარებავას, რომელმაც გვითხრა, რომ ზუგდიდის ჩაის ფაბრიკების მიერ მიღებული ნედლეულის და გამოშვებული ნახევარფაბრიკატების ხარისხი სტანდარტს შეესაბამება. ასე რომ, მაის-ივნისში დამზადებული ნედლეულის პირველი ხარისხის 94,7 პროცენტი ზუსტად არის განსაზღვრული და მასზე კარგის მეტი არაფერი გვეთქმისო.

ხარისხისათვის ბრძოლა უპირველესად დაიწყო ჩაის პლანტაციების აგროტექნიკით გათვალისწინებული ყველა სამუშაოს სრულყოფილი შესრულებით. ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა. საგრძნობლად გაუმჯობესდა აგროწესებით ჩაის ფოთლის კრეფის წესების დაცვა, მოკრეფილი ფოთლის ხარისხი და ჩაის ფაბრიკების მიერ მაღალი ხარისხის მზა პროდუქციის გამოშვება. ეს იმიტომაც, რომ რაიონის სპეციალისტების ჯგუფი, პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრები ყოველ დეკადაში ამოწმებენ საზოგადოებრივი მეურნეობების ჩაის პლანტაციებს, თითოეულ ბუჩქს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა ნაკვეთს, სწავლობენ სხვა საჭირბოროტო საკითხებს, რომელსაც განიხილავენ და ფართო მსჯელობის საგნად ხდიან ამ დარგის ხელმძღვანელთა რაიონულ თათბირებზე, პარტიის რაიკომის ბიუროს და რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე.

ჩაის ხარისხისათვის ზრუნვისა და ნედლეულის რაოდენობის ზრდის ამ ცხარე დღეებში საზოგადოებრივ მეურნეობებსა და რგოლებში იშვება ახალი ინიციატივა, რომლის დანერგვა ხელს უწყობს ჩაის ხარისხობრივ მაჩვენებელს. რამდენიმე ასეთი ინიციატივიდან მოგიყვანთ მხოლოდ ორ ფაქტს.

ინგირის ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომპლექსურ-მექანიზებული რგოლის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვალერიან მეუნარგიამ და ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულმა მექანიზატორმა ნიკოლოზ ქარჩავამ გამოიჩინეს ინიციატივა — არახელსაყრელი კლიმატური პირობებით გამოწვეული ჩაის უხეირო ვეგეტაციის შედეგად დაყრუებული დუყების აღება მოხდეს მობილური მანქანის ორჯერადი გავლით, რომელთაგან ბუჩქებიდან პირველად აღებული ჩაის ფოთოლი თავისთავად პირველი ხარისხისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ დუყები მოიკრიფება იმ დონეზე, რომ არ მოჰყვეს წინა წლის ნაზარდი ჯოხები და ფოთლები, ხოლო მანქანის ბუჩქებს შორის მეორედ გავლით მოკრეფილი ჩაის ფოთოლი გადარჩევის შემდეგ ჩაებარებინათ ფაბრიკებისათვის გადასამუშავებლად.

ვ. მაჭავარია — ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი: ვალერიან მეუნარგიას ინიციატივა სწრაფად გავრცელდა და დაინერგა მეურნეობის კომპლექსურ-მექანიზებულ რგოლებში და სახარბიელო შედეგი მოგვცა. ჯერ ერთი, მნიშვნელოვნად გაიზარდა პირველი ხარისხის ხვედრითი წილი. მაგალითად, 15 ივლისისათვის მეურნეობაში მოკრეფილი იყო 1981 ტონა ჩაის ფოთოლი. აქედან პირველი ხარისხისა 90,2 პროცენტი იყო, ანუ შარშანდელზე 13,7 პროცენტით მეტი. მეორეც, ამ მეთოდს ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ რაოდენობაც მეტი ყოფილიყო, პირიქით, იგი გაიზარდა, შარშანდელთან შედარებით მოკრეფილი გვაქვს 142 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი. იმავე დღეს მეორეჯერ მოკრეფილი ჩაის ფოთლის გადარჩევა უთუოდ ძნელია, მაგრამ მის გადარჩევაში გვეხმარებიან 77-ე პროფტექნიკური სასწავლებლის (დირექტორი — ი. ცაავა) და ინგირის მეორე საშუალო სკოლის (დირექტორი — ს. ყურუა) მოსწავლეები.

ბ. ქარჩავა — სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე: ნიკოლოზ ქარჩავას ინიციატივამ კიდევ უფრო გაზარდა დამზადებული ნედლეულის ხარისხი. ეს ინიციატივა დავნერგეთ მანქანებით ჩაის ფოთლის მკრეფავებს შორის. ახლა მართლაც კარგი ხარისხის ნედლეულს ვაბარებთ ჩაის გადამამუშავებელ მრეწველობას და პრეტენზიებიც არა გვაქვს.

დ. იზორია — ინგირის ჩაის ფაბრიკის დირექტორი: წლების განმავლობაში დავა და დაუსრულებელი კამათი გვქონდა, განსაკუთრებით ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგრონომებთან და მექანიზატორებთან. მეურნეობა მობილური მანქანებით მოკრეფილ ჩაის 90 პროცენტზე მეტს ჩვენ გვაბარებს. წარმოიდგინეთ, 15-20 სანტიმეტრი სიგრძის გაუხეშებული ფოთლების დამუშავება. ფაბრიკის დანადგარები მათ ხშირად გამოჰყავდათ მწყობრიდან, ამიტომ ნედლეულს დროულად ვერ ვამუშავებდით. უფრო მეტიც. მეურნეობის 7, ხან მეტი ავტომანქანა 2-3 დღის განმავლობაში რიგში იდგა, ასეთ დღეში იყო სხვა საზოგადოებრივი მეურნეობების მანქანებიც. ფოთოლი ხურდებოდა და ხარისხს უფრო მეტად კარგავდა, ეგრეთწოდებული მაისის პიკები წლეულს არ გვქონია. ხარისხოვანი ნედლეული სწრაფად და დროულად გადავამუშავეთ.

მეორე ინიციატივა: კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე — ლენინის ორდენოსანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯ. გუგუჩია) სოფლის თითოეულ კომლს, კოლმეურნეობის თითოეულ წევრს, სოფლის ინტელიგენციას, პენსიონერებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას გაუნაწილა ჩაის ფოთოლი საკრეფად. თითოეულ მათგანს დაუწესა, თუ რამდენი კილოგრამი, ტონა ჩაის ნედლეული მოეკრიფა სეზონში. ჩაის ნედლეულის დამზადების საქმეში სოფლის მოსახლეობის მასობრივად ჩაბმამ კარგი ნაყოფი გამოიღო. დუყების გაუხეშებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, სადღაა ბუჩქზე ჩაი საკრეფად? იმატა მოსავლიანობამ, გაუმჯობესდა მოკრეფილი ჩაის ნედლეულის ხარისხიც.

კახათელთა თაოსნობისამებრ, პარტიის რაიკომის ბიურომ რაიონის წარმოება-დაწესებულებათა პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს დაავალა მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა და დაწესებულებათა თითოეულ მუშას, მოსამსახურეს დაუწესონ ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის გეგმები. ახლა მეჩაიეებთან ერთად ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გადიდებული ვალდებულების დროული შესრულების საქმეში თავიანთი გარკვეული წვლილი შეაქვთ რაიონის მუშა-მოსამსახურეებსა და მოსწავლეებს.

სხვაც ბევრია სათქმელი ზუგდიდელ მეჩაიეთა მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე ჩაის ფოთლის ხარისხის ამაღლებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში, მაგრამ ერთ მათგანზე ვიტყოდით: ჩვენი აზრით, რაიონის ხელმძღვანელობა უთუოდ სწორად მოიქცა, როცა საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს დაავალა, რომ მეჩაიეები (როგორც ხელით, ისე მობილური და მცირე მექანიზაციით მკრეფავები), რომლებიც რამდენიმეჯერ გაფრთხილების შემდეგ კვლავ შეეცდებიან აგროწესების უხეში დარღვევით დაამზადონ ნედლეული, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ჩრდილს აყენებენ სახელოვან მეჩაიეთა თაოსნობას ქართული ჩაისათვის ძველი დიდების აღდგენის თაობაზე, არ დაუშვან პლანტაციებში ნედლეულის დასამზადებლად.

ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა მუშახელის დიდ ნაკლებობას განიცდის. ეს კარგად არის ცნობილი. სათანადო ხელშეკრულებებით წლების განმავლობაში აქ მუშაობდნენ რესპუბლიკის სხვა კუთხეებიდან ჩამოსული მუშები. ნედლეულის ხარისხისადმი მკაცრი კონტროლის დაწესება მათ იუკადრისეს და „ძველებურად“ განაგრძეს ჩაის ფოთლის კრეფა. როცა მოკრეფილი ნედლეული დამამზადებლებმა არ მიიღეს და მკრეფავებს მოუწოდეს ეკრიფათ აგროწესების დაცვით, მაშინ ყველანი სხვა რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში წავიდნენ სამუშაოდ. საინტერესოა, ეს 200-ზე მეტი მკრეფავი როგორ მიიღო იმ მეურნეობის დირექციამ, სადაც ისინი წავიდნენ?

ხეცერლებს, მუშახელის გარდა, ხელის საკრეფი აპარატების მექანიზატორებიც აკლიათ. აქ სეზონში უნდა მუშაობდეს 250 მექანიზატორი, მუშაობს მხოლოდ... 80(!). არადა, მცირე მექანიზმებით მოსაკრეფია 2.200 ტონა ნედლეული. მუდმივი მუშახელი უნდა ჰყავდეთ არანაკლებ 500 კაცისა, ფაქტობრივად ჰყავთ 120-150. ამიტომ პლანტაციები დაუმუშავებელი და დასარევლიანებულია, ზოგან ბარდ-ეკლებით დაფარული, ჩაის ფოთოლი გადაუხეშებულია.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მუშახელისა და პლანტაციების დამუშავების მხრივ. მუშებს ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები აქვთ. ოცდაათიან წლებში, როცა მეურნეობაში ჩაის აშენებდნენ, აიგო მუშათა საერთო საცხოვრებლები. მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო. მუშათა საცხოვრებლების ძველი შენობები ჩამოსაწერია, შეკეთება კი არ შეიძლება. ახლის აშენებაზე დღემდე არავის უზრუნია. არადა, ხეცერა და ნარაზენი ისეთი ზონაა, სადაც მოწვეული მუშახელით მუშავდება პლანტაციები და იკრიფება ჩაის ფოთოლი.

ამ მეურნეობებში ჩამოსულ მუშებს ხილ-ბოსტნეულის საყიდლად ზუგდიდში უხდებათ ჩასვლა. ცდება ძვირად ღირებული დრო. ამიტომ მუშები საყვედურს გამოთქვამენ. საინტერესოა, ვინ უნდა უზრუნველყოს ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობა ნარაზენსა და ხეცერაში?

როცა რაიონში ასეთი შეუპოვარი ბრძოლაა გაჩაღებული ჩაის კრეფის უხეში წესების დასაგმობად და მისი პრესტიჟის ასამაღლებლად, გულდასაწყვეტია ზოგიერთი [illegible] და მექანიზატორის [illegible] დამოკიდებულება ხარისხოვანი ჩაის ნედლეულის დამზადებისადმი. შემოწმების დღეს ვნახეთ რაიონის ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობის მეცხრე ბრიგადაში უხეშად ნაგლეჯი (და არა მოკრეფილი) 600 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი იტვირთებოდა მანქანაში. ვასრულებთ კოლმეურნეობის ხელმძღვანელების თხოვნას, რომ არ დავასახელოთ კოლმეურნეობა, მაგრამ ეს არ შეჰფერით მოწინავე მეურნეობის მეჩაიეებს. დარწმუნებული ვართ, რომ, პირობის თანახმად, კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები საჯაროდ იმსჯელებენ მომხდარ ფაქტზე, დამნაშავეებს მკაცრად დასჯიან და მიღებულ ზომებზე რედაქციას აცნობებენ.

გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის დარჩელის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — რ. ჯალაღონია, მთავარი აგრონომი — მ. ახალაია, პარტიული ორგანიზაციის მდივანი — ბ. ანთია) ყოველწლიურად იზრდება ჩაის ჰექტარობრივი მოსავლიანობა. საკმარისია ითქვას, რომ მეურნეობამ ახალი ჯიშის ჩაის კლონი „კოლხეთი“ 115 ჰექტარზე გააშენა. მეურნეობაში 435 ჰექტარზე ითესება სიმინდი, სოია, ერთწლოვანი ბალახები, აქვთ ციტრუსებისა და დაფნის პლანტაციები, განვითარებული მეცხოველეობა და სხვ. ერთი სიტყვით, მეურნეობა იზრდება და რენტაბელური ხდება, რაც მოითხოვს მექანიზაციის დანერგვას.

მეურნეობა წელს 1300 ტონა ჩაის ნედლეულს ამზადებს, მათ შორის მობილური მანქანებით მოიკრიფება 300 ტონა ნედლეული. შემოწმების დღეს შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 37 ტონით მეტი ჩაის ნედლეული იყო დამზადებული. მოკრეფილი ჩაის პირველი ხარისხი ამ დროისათვის 98,7 პროცენტს შეადგენდა.

ახლა ჩაი უხვად არის შემოსული. ზუგდიდელმა მეჩაიეებმა ხარისხთან ერთად რაოდენობისათვის უნდა იბრძოლონ, რათა საქმით უპასუხონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სსრ კავშირის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

გ. ნოდია,
რ. რუსია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

პლანტაციაში არიან სტუდენტები

სოფლად ახლა ცხარე დღეებია. აქ ძვირფასია დროის ყოველი მონაკვეთი. აი, რატომ უხარიათ მიწათმოქმედებს რესპუბლიკის სტუდენტებისა და უფროსკლასელების დახმარება. ისინი ხომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1982 წლის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის არიან ჩასული.

ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ეკონომიკური და აგრონომიული განყოფილების 60 მოსწავლე ყოველდღიურად კრეფს „მწვანე ოქროს“ ხელვაჩაურის რაიონის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მათ უკვე 12 ტონაზე მეტი ნაზი დუყები მოკრიფეს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათ მიერ მოკრეფილი მთელი მოსავალი პირველ ხარისხად ჩაიბარეს!

— არ ვიცი, რა გვეშველებოდა, ტექნიკუმის მოსწავლეები რომ არ დაგვხმარებოდნენ, — თქვა ბრიგადირმა ბიჭიკო სარჯველაძემ, — ვეგეტაცია კარგია, მნიშვნელოვანია დავიცვათ ჩაის ხარისხი, არ დავუშვათ ფოთლის გაუხეშება. ტექნიკუმის მოსწავლეები საბჭოთა მეურნეობას დაეხმარებიან სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

სურათებზე: დილით პლანტაციისაკენ; სალიბაურში ჩაის კრეფენ ტექნიკუმის მოსწავლეები. პირველ პლანზე მაგული ყურშუბაძე.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პრობლემა

მშენებლობას—საიმედო ბაზა

საშენი მასალების მრეწველობის განვითარების ზოგიერთი საკითხი

◆

საშენ მასალათა მრეწველობას ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკაში. ეს იმ დარგთაგანია, რომელიც განსაზღვრავს მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკურ პროგრესს. იგი დიდ როლს ასრულებს საბჭოთა ხალხის ცხოვრების კულტურული და მატერიალური დონის განუხრელი ამაღლებისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებას რესპუბლიკაში არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. არ ხორციელდებოდა საჭირო ღონისძიებანი საწარმოო სიმძლავრეების გაფართოებისათვის, წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისათვის. დარგის განვითარებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებებს მთლიანად არ ითვისებდნენ, ზოგჯერ კი თანხებს არადანიშნულებისამებრ იყენებდნენ.

ამიტომ, როდესაც ცხოვრებამ რესპუბლიკის წინაშე დააყენა ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით საკავშირო დონესთან შედარებით ჩამორჩენის დაძლევის უაღრესად აქტუალური საკითხი, საშენ მასალათა მრეწველობა მოუმზადებელი აღმოჩნდა თავისი მასშტაბებისა და წარმოების დონის მიხედვით მშენებლობის გაზრდილ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის.

მიუხედავად ამისა, სახალხო მეურნეობის მართვის ყველა დონეზე განხორციელებული ენერგიული ღონისძიებების შედეგად, დარგის განვითარებაში მიღწეულია გარკვეული წარმატებები.

ამასთან ერთად დარგის განვითარებაში კვლავ ბევრი სერიოზული ნაკლოვანებაა, რომელთა დროულ გამოსწორებაზე ბევრად არის დამოკიდებული მიმდინარე ხუთწლედში მთავარი ამოცანის გადაწყვეტა. მაქსიმალურად უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნა საშენ მასალებზე სახალხო მეურნეობაში და შეიქმნას სათანადო ბაზა მომავალ, მეთორმეტე ხუთწლედში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების უფრო ინტენსიური ზრდის უზრუნველსაყოფად.

ამ ამოცანის გათვალისწინებით მიმდინარე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში ხორციელდება საშენ მასალათა საწარმოების გაფართოებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების სოლიდური გეგმა.

განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საკედლე მასალების, კერძოდ, აგურის წარმოებას. ამ ქვედარგის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით რესპუბლიკა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს. ამიტომ ხორციელდება ღონისძიებათა სისტემა წარმოების გასაფართოებლად და არსებული დისპროპორციების აღსაკვეთად. მიმდინარეობს და წლეულსვე უნდა დამთავრდეს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხნის რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც მისი სიმძლავრე 25 პროცენტით გაიზრდება, მიმდინარე ხუთწლედში განხორციელდება აგრეთვე აჯამეთსა და საგარეჯოში (საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო), სოხუმში (ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო), ვაქირში (ცეკავშირი) აგურის ქარხნების რეკონსტრუქცია, მეტეხში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი სიმძლავრე იმპორტული მოწყობილობის ბაზაზე, დაიწყება ტყვარჩელის კერამიკული საკედლე მასალების ქარხნის მშენებლობა იმპორტული ტექნოლოგიური მოწყობილობის ბაზაზე. გაფართოვდება და განახლდება აგურის წარმოება ზოგიერთ სხვა სამინისტროსა და უწყებაში.

დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდება აგრეთვე სხვა მასალების წარმოების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. დასახულ ღონისძიებათაგან გამოირჩევა რესპუბლიკის სამხრეთ რაიონებში არსებული ვულკანური წიდების ფართო სამრეწველო ათვისება, რაც შესაძლებელი გახდა მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის შედეგად და ახალ ეტაპს მოასწავებს რესპუბლიკაში მსუბუქი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების განვითარების გზაზე.

გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოეკიდებიან მათ წინაშე მდგომ ამოცანებს ის ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების პროცესში და უშუალო გავლენას ახდენენ მასზე. საგანგებო როლი ამ მხრივ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს ეკისრება.

პარადოქსად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მშენებელი ორგანიზაციები, რომლებიც საშენი მასალების მთავარი მომხმარებლები არიან და, არსებითად, დაინტერესებული უნდა იყვნენ ამ მასალათა სიუხვით, გამოდიან რა მოიჯარის როლში, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ დარგის ობიექტების მშენებლობის ვადების დაცვას. ამის შედეგად ფერხდება გეგმით გათვალისწინებული საწარმოო სიმძლავრეების საექსპლოატაციოდ გადაცემა. ხუთ წელიწადს გაჭიანურდა, მაგალითად, სალიეთის მარმარილოვანი კირქვების კარიერის რეკონსტრუქცია (მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტი), ჩაიშალა „საქტეშენის“ საწარმოში გრანიტის ფილების წარმოების სიმძლავრის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა (მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტი). სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციებმა არაერთხელ ჩაშალეს სამუშაოების ვადები საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მოქმედ აგურის საწარმოებში. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები ბევრია. მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციებმა საშენ მასალათა მრეწველობის ობიექტებზე 1976-1980 წლების სამუშაო გეგმა მხოლოდ 87 პროცენტით შეასრულეს. ამის შედეგად აუთვისებელმა თანხამ რესპუბლიკის მთავრობის მიერ სხვა დარგების კაპიტალური დაბანდებების შემცირების ხარჯზე გამოყოფილი სახსრების 24 პროცენტი შეადგინა. შეუსრულებელი დარჩა 1981 წლისა და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალებები.

სამშენებლო ორგანიზაციები საშენ მასალათა მწარმოებლებიც არიან. სამწუხაროდ, ზოგი მათგანი არა მარტო არ ზრდის, არამედ ამცირებს კიდეც მათს დამზადებას. ასეა, მაგალითად, ინერტული მასალების წარმოებაში. მშენებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ საკავშირო სამინისტროები არ გამოყოფენ კაპიტალურ დაბანდებებს, ეს მიზეზი დასაჯერებელი იქნებოდა, რომ კავშირში მეათე ხუთწლედის მანძილზე სამშენებლო სამინისტროების ხაზით ინერტული მასალების წარმოების დონე ორჯერ და მეტად არ გაზრდილიყო. ჩვენში კი, ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ და მშენებლობის სამინისტროს საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ეს დონე 31,1 და 9,8 პროცენტით შეამცირეს. მშენებლობის სამინისტროში ასეთი შემცირების ტენდენცია შეიმჩნევა მიმდინარე ხუთწლედშიც.

უდავოა, რომ საშენ მასალათა მრეწველობის განვითარება, ძირითადად, საშენი მასალების მრეწველობის ბაზაზე უნდა ხდებოდეს. ეს პრინციპი რესპუბლიკაში ხორციელდება კიდეც. მაგალითად, ხსენებული სამინისტროს ხვედრითი წილი რესპუბლიკაში ინერტული მასალების წარმოებაში მეათე ხუთწლედში 27,4 პროცენტიდან 34,1 პროცენტამდე გაიზარდა იმ დროს, როდესაც კავშირში ეს დონე 20,2 პროცენტიდან 19,8 პროცენტამდე შემცირდა. მაგრამ ჯერჯერობით ნაადრევია ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების შემცირება ისეთ სამინისტროებსა და უწყებებში, რომლებსაც სათანადო საწარმოო სიმძლავრეები და ტრადიციები აქვთ.

საშენ მასალებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო მათი ხვედრითი ხარჯის შემცირებაა. ეს ამოცანა შეიძლება გადაწყდეს საშენ მასალათა ხარისხის გაუმჯობესების, კონსტრუქციებისა და დეტალების კვეთებისა და მასის შემცირების, პროგრესული, ეფექტიანი მასალების წარმოების ათვისებისა და გამოყენების, სამშენებლო წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის საფუძველზე. ჩვენ ამ მხრივ ბევრი სერიოზული საკითხი გვაქვს მოსაგვარებელი, დიდია რეზერვებიც. მაგალითად, წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის წარმოების ხვედრითი წილის მიხედვით ასაწყობი რკინაბეტონის გამოშვების საერთო მოცულობაში რესპუბლიკა ამჟამად იმ დონეზეა, რომელსაც კავშირში 1965 წელს გადააჭარბეს?

თავისთავად ცხადია, რომ ტექნიკური პროგრესის ღონისძიებების განხორციელების საუკეთესო საშუალებები იმ მშენებელ ორგანიზაციებშია, რომლებსაც ძლიერი საწარმოო ბაზები აქვთ. ამიტომ რაც უფრო მეტია მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციების ხვედრითი წილი შესასრულებელი სამუშაოების საერთო მოცულობაში, მით უფრო მეტი ეფექტია მოსალოდნელი სამშენებლო წარმოების მასალატევადობის შემცირების საქმეში. ამ მხრივ რესპუბლიკაში მდგომარეობა სახარბიელო არ არის. მშენებლობის სამინისტრო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ტემპის მიხედვით მეათე ხუთწლედში ერთიორად ჩამორჩებოდა საშუალო რესპუბლიკურ ტემპს. ამის შედეგად სამინისტროს ხვედრითი წილი რესპუბლიკაში შესრულებულ სამუშაოთა საერთო მოცულობაში 40,5 პროცენტიდან 35,8 პროცენტამდე შემცირდა.

ტემპის ზრდას რესპუბლიკამ ნაკლებად მძლავრი და საერთოდ სუსტი სამშენებლო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების ხარჯზე მიაღწია. ამ ორგანიზაციებს არ გააჩნიათ სამშენებლო ინდუსტრიის შესაფერისი ბაზები და ამიტომ არ შეუძლიათ ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის მიღება, მიუხედავად ამისა, დროგამოშვებით კვლავ იქმნება ახალი უწყებრივი სამშენებლო და სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციები საიჯარო სამუშაოების მცირე მოცულობებით. უკანასკნელ პერიოდში ისე მომრავლდა სამშენებლო ორგანიზაციები რესპუბლიკაში, რომ კომპეტენტური მუშაკის შერჩევა სამმართველოს უფროსის ან მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე რაიონებში — სერიოზულ პრობლემად იქცა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ „ჯუჯა“ ორგანიზაციებს, როგორც წესი, დიდი ხელფასის ფონდი აქვთ დაწესებული და ეს იწვევს მუშახელის გადაბირებას და არაჯანსაღი კონკურენციის შექმნას.

მიმდინარე ხუთწლედში იზრდება რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების ხვედრითი წილი. საგრძნობლად მცირდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხვედრითი წილი კაპდაბანდებათა საერთო მოცულობაში — 1985 წლისათვის იგი რესპუბლიკაში 54,5 პროცენტის დონეზეა დაგეგმილი, ნაცვლად 1980 წლის 58,6 პროცენტისა. ეს გარემოება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ტემპის შედარებით ზომიერ ზრდას განაპირობებს. **ამიტომ სწორედ მიმდინარე ხუთწლედშია შექმნილი შესაფერისი პირობები იმისათვის, რომ დაიწყოს სამშენებლო ორგანიზაციების გეგმაზომიერი გამსხვილება მათი დატვირთვის ოპტიმალურ დონემდე მისაყვანად.** ეს ღონისძიება ფართო შესაძლებლობებს შექმნის საშენ მასალათა ხარჯვის შემცირებისა და, საერთოდ, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის.

არის შემთხვევები, როდესაც სამინისტროებისა და უწყებებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის საკითხების გადაწყვეტა თიხის ან ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვის საბადოების დამუშავების მიზნით დიდი ხნით ჭიანურდება იმ მოტივით, თითქოს ამით ზარალს აყენებენ ცალკეული რაიონების ეკონომიკას. სინამდვილეში კი ზარალობს როგორც დარგი, ისე მთელი რესპუბლიკის ეკონომიკის ინტერესები.

დარგის განვითარებაში კიდევ მრავალი მოუგვარებელი საკითხია, მაგრამ ყოველდღიური ყურადღება, რომელსაც მის მიმართ იჩენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა, აგრეთვე ის გაუმჯობესებანი, რომლებიც უკვე მიღწეულია, იმის საწინდარია, რომ გადაწყდება ყველა საკითხი, საშენ მასალათა მრეწველობა ახალ მიჯნას მიაღწევს თავისი განვითარების გზაზე და მყარ ბაზას შეუქმნის რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

ნ. ლუხუტაშვილი,
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საშენი მასალებისა და ხე-ტყის მრეწველობის განყოფილების უფროსი.

20 ივლისი

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

● ბელგია

„ათეულის“ სესია

ბრიუსელი. აქ გაიხსნა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს ორდღიანი სესია საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.

დღის წესრიგში შეტანილია „ათეულისათვის“ მეტად მნიშვნელოვანი მთელი რიგი პრობლემები, კერძოდ, გამწვავებული სავაჭრო ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის, „საერთო ბაზარში“ პორტუგალიის შესვლასთან დაკავშირებული საკითხები, გაერთიანების ბიუჯეტში ინგლისის „გაზრდილი“ წვლილისათვის კომპენსაციის გადახდის წესი, ახლო აღმოსავლეთის ვითარება და სხვა.

დისკუსიის ერთ-ერთი ცენტრალური პუნქტი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების პროტექციონისტული აქციების საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება. როგორც ცნობილია, ვაშინგტონი საერთაშორისო ვაჭრობის წესების დარღვევით ძირს უთხრის ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნების ეკონომიკას და მკვეთრად ზღუდავს დასავლეთ ევროპის ფოლადისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტს ამერიკის ბაზარზე, ცდილობს დისკრიმინაციული ღონისძიებები გაავრცელოს დასავლეთ ევროპის ფირმების მიერ სსრ კავშირში ნავთობისა და გაზის მოსაპოვებლად მოწყობილობის მიწოდებაზე.

● ინდოეთი

აკრძალეს დაფინანსება

დელი. ინდოეთის მთავრობამ აკრძალა საზღვარგარეთიდან 28 პოლიტიკური ორგანიზაციის დაფინანსება. მათ შორისაა ექსტრემისტული დაჯგუფება დალ ხალსა, შოვინისტური ინდუისტური ორგანიზაციები ვიშვა ჰინდუ ფარიშადი და შივ სენა, რეაქციული მუსლიმანური დაჯგუფებები, რომლებიც „ავღანელი ლტოლვილებისათვის“ დახმარების საბაბით მხარს უჭერენ ავღანეთის კონტრრევოლუციონურ ნაძირალებს.

აქტიურებენ მშვიდობისათვის ბრძოლას

დამთავრდა პაგუოშის მოძრაობის საიუბილეო სესია

ოტავა. დაბა პაგუოშში (ახალი შოტლანდიის პროვინცია) მუშაობა დაამთავრა პაგუოშის მოძრაობის 25 წლის თავისადმი მიძღვნილმა საიუბილეო სესიამ. ამ მოძრაობამ ბევრი ქვეყნის მეცნიერი გააერთიანა მშვიდობის, განიარაღების, საერთაშორისო უშიშროებისა და სამეცნიერო თანამშრომლობისათვის ბრძოლაში.

კანადის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა ქვეყნების სამეცნიერო საზოგადოებრიობის წამყვანი წარმომადგენლები მხურვალედ მიესალმნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების მეორე სპეციალურ სესიისადმი ლ. ი. ბრეჟნევის წერილში წამოყენებულ საბჭოთა კავშირის ისტორიულ ინიციატივას ბირთვული იარაღის პირველად გამოუყენებლობის შესახებ. ამავე დროს ამ წარმომადგენლობითი ფორუმის ტრიბუნიდან მკაცრად დაგმეს რეიგანის ადმინისტრაციის მილიტარისტული კურსი, მისი ცდები — — ხელი შეუშალოს ყოველგვარ ზომებს, რომელთა განხორციელებას რეალურად მოჰყვება გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

საიუბილეო სესიის მონაწილეებმა მიიღეს დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საჭიროა ბირთვული იარაღის ყოველგვარი სახეობებისა და მათი მიწოდების საშუალებების გამოცდის, წარმოებისა და განლაგების გაყინვა, რათა პირველი ნაბიჯი გადაიდგას ამ იარაღის მარაგის არსებითი შემცირებისა და მისი საბოლოო განადგურების გზით. მათ აგრეთვე დაგმეს ფრთიანი რაკეტების წარმოება და განლაგება, როგორც ერთობ სახიფათო ნაბიჯი გამალებულ შეიარაღებაში.

დოკუმენტის ავტორები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირმა იკისრა ვალდებულება პირველმა არ იხმაროს ბირთვული იარაღი, დაასკვნიან: თუ ყველა ბირთვული სახელმწიფო იკისრებს ასეთ ვალდებულებას, ეს იმის ნიშნავს, რომ აღარავინ იხმარს მასობრივი მოსპობის ამ ბარბაროსულ იარაღს.

მიღებულ დოკუმენტში მკაცრად დაგმეს აგრეთვე ვაშინგტონის დოქტრინა „შეზღუდული ბირთვული“ ომის წარმოების შესაძლებლობის თაობაზე და პენტაგონის სხვა მილიტარისტული „თეორიები“.

საიუბილეო სესიის მონაწილეებმა მსოფლიოს მეცნიერებს მოუწოდეს გააქტიურონ თავიანთი მეცადინეობა ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

● ბოლივია

დანიშნეს პრეზიდენტი

ლიმა. როგორც ლა-პასიდან იუწყებიან, სამხედრო ხუნტამ, რომელშიც შედიან სამი სახეობის შეიარაღებულ ძალთა სარდლები, არმიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი გიდო ვილდოსო კალდერონი დანიშნა ქვეყნის ახალ პრეზიდენტად. იგი თანამდებობას დაიკავებს 21 ივლისს.

ბოლივიის ახალმა პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურა ბოლივიის სამხედრო პირთა განზრახვა იარონ საშინაო პოლიტიკის დემოკრატიზაციის გზით, კერძოდ, მოაწყონ საყოველთაო არჩევნები 1983 წლის აპრილში.

● სალვადორი

პატრიოტთა წარმატება

სან-ხოსე. ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მებრძოლებმა მიმდინარე წლის ივლისში საომარი მოქმედების დროს მწყობრიდან გამოიყვანეს რეპრესიული სალვადორის არმიის ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს ოთხი ვერტმფრენი და რამდენიმე სამხედრო სატვირთო მანქანა. ამას იუწყება პატრიოტების რადიოსადგური „ვენსერემოს“.

ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის სარდლობის ცნობაში, რომელიც რადიოსადგურმა გადმოსცა, ნათქვამია, რომ პატრიოტების შეიარაღებული რაზმები წარმატებით იგერიებენ დამსჯელთა შეტევას ჩალატენანგოს დეპარტამენტში, სადაც ახლახან გადაიყვანეს მარიონეტული არმიის რჩეული ნაწილები, გადაზიდეს ამერიკული საბრძოლო ტექნიკა, მათ შორის „ა-37 დრეგონფლაის“ ტიპის თვითმფრინავები.

● სომალი

აჯანყებულნი უტევენ

ადის-აბება. სომალის ხსნის დემოკრატიული ფრონტის რადიოს ცნობით, მისი რაზმები კვლავ წარმატებით უტევენ სტრატეგიული გზატკეცილის გასწვრივ, რომელიც აკავშირებს სომალის დედაქალაქ მოგადიშოს და ხირანის სასაზღვრო ოლქს. გასულ დღე-ღამეში ბრძოლები წარმოებდა დასახლებული პუნქტების გური-ელის, მატაბანისა და ბერგადიდის რაიონში. ბელეტვენის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრიდან 20 კილომეტრზე ფრონტის ძალებმა შეუტიეს და მოსპეს იარაღითა და ტყვია-წამლით დატვირთული სატვირთო მანქანების კოლონა.

აჯანყებულებთან უკანასკნელი ბრძოლების დროს, აღნიშნავს სომალის ხსნის დემოკრატიული ფრონტის რადიო, სომალის არმიას დიდი ზარალი მოუვიდა — 250 ჯარისკაცი დახოცეს, 500 დაჭრეს. ფრონტის მებრძოლებმა ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო ტექნიკა.

ვითარება ლიბანში

აგრესორი იმუქრება

ისრაელმა აგრესორებმა, რომლებიც სულ უფრო მჭიდროდ აქცევენ ალყაში ლიბანის დედაქალაქის დასავლეთ ნაწილს, კვლავ დაუშინეს ნაღმსატყორცნებისა და არტილერიის ცეცხლი პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებსა და ქალაქის საცხოვრებელ უბნებს. დაინგრა ათობით სახლი და ადმინისტრაციული შენობა, დაზიანდა კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზები.

პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის გაერთიანებული ძალებისა და ფრონტის ხაზის მიღმა მოქმედი ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალების რაზმებმა რამდენიმე ახალი წარმატებული ოპერაცია განახორციელეს აგრესორის საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ. ამ ოპერაციების დროს მოსპეს აგრესორის ერთი ტანკი, რამდენიმე ავტომანქანა, მოკლეს და დაჭრეს 20-ზე მეტი ისრაელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ისრაელი და შეერთებული შტატები განაგრძობენ უხეშ ზეწოლას ლიბანსა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციაზე, რათა მიაღწიონ ლიბანის დედაქალაქის დამცველთა კაპიტულაციას. პრემიერ-მინისტრმა ბეგინმა ტელ-ავივში უტიფრად განაცხადა, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელს ი. არაფატსა და სხვა პალესტინელ ლიდერებს „მალე მოსპობენ“. მან დასძინა, რომ „ლიბანში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მოსპობის ოპერაცია უახლოეს დროში დაიწყება და მოკლე ვადაში დამთავრდება“.

ლიბანის ეკონომიკისა და ვაჭრობის მინისტრმა ჰ. ჯუმბლატმა და მრეწველობისა და ნავთობის მინისტრმა მ. ბეიდუნმა მოწოდებით მიმართეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ აიძულონ ისრაელის მმართველი წრეები მოხსნან დასავლეთ ბეირუთის ბარბაროსული ბლოკადა.

შეერთებული შტატები ცდილობს საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს ლიბანის კრიზისის მთავარ საკითხს — ისრაელის ჯარების გაყვანას და იმუქრება ოკუპანტთა შეჭრით დასავლეთ ბეირუთში, ნათქვამია პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის წევრის იასირ აბდ რაბუს განცხადებაში. ლიბანის ვითარების მოსაწესრიგებლად, ნათქვამია მასში, საჭიროა მოიხსნას ისრაელის მიერ ბეირუთის ბლოკადა და აგრესორმა გაიყვანოს ჯარები ლიბანიდან. პალესტინელებისათვის ერთადერთი მისაღები გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან — ეს არის მათი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

სირია არ გაიყვანს თავის ჯარებს ლიბანიდან, სანამ ისრაელ აგრესორებს დაპყრობილი აქვთ ლიბანის მიწა-წყალი, განაცხადა სირიის პრეზიდენტმა ჰ. ასადმა. ამასთან აღნიშნა, რომ სირიის ნაწილები, რომლებიც ლიბანში მშვიდობის ხელშემწყობი არაბული ქვეყნების ძალების შემადგენლობაში შედიან, იხდიან თავიანთ ვალს ლიბანელი და პალესტინელი ხალხების წინაშე.

საქდესის მასალების მიხედვით.

მხატვრის კომენტარი



აგრესორი და მისი მფარველი.

გ. ლომიძის ნახატი.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

გაათავისუფლეს პატიმრები

ეგვიპტის შინაგან საქმეთა მინისტრმა აბუ ბაშამ გამოსცა ბრძანებულება იმ 453 პატიმრის განთავისუფლების შესახებ, რომლებიც შეიპყრეს გასული წლის სექტემბერსა და ოქტომბერში დაპატიმრების ფართო კამპანიის დროს პრეზიდენტ მუბარაქის მითითებების შესაბამისად. ათავისუფლებენ იმათ, ვინც ამჟამად „საფრთხეს არ უქმნის რეჟიმის უშიშროებას“.

ეგვიპტის ციხეებში დღემდე გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ზის 2900-ზე მეტი პოლიტიკური პატიმარი.

მილიტარიზმი და უმუშევრობა

არამწარმოებლური ხარჯების სწრაფი ზრდა გამალებული შეიარაღებისათვის დიდ ზარალს აყენებს ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკას.

როგორც ჟურნალი „პერიოდი“ აღნიშნავს, ასობით მილიარდი დოლარი, რომელსაც შთანთქავს სამხედრო ინდუსტრია, იწვევს ინფლაციის გაძლიერებას, ქვეყნის ეკონომიკის სხვა დიდმნიშვნელოვან დარგებს უზღუდავს მატერიალურ და ადამიანთა რესურსებს, აგრეთვე ზრდის უმუშევრობას. მაგალითად, მილიტარისტული მიზნებისათვის 1 მილიარდი დოლარის გამოყენებას მოსდევს ის, რომ 9 ათასი კაცი უმუშევარი რჩება, აღნიშნავს ჟურნალი.

მიწა — გლეხებს

ნიკარაგუის ეროვნული აღორძინების მთავრობამ მატაგალპისა და ხინოტეგის დეპარტამენტთა გლეხებს გადასცა 4700 ჰექტარი მიწა, რომელიც წინათ მსხვილ ლატიფუნდისტებს ეკუთვნოდათ, მიწა მიიღო, კერძოდ, ცამეტმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა.

აგრარულმა რეფორმამ, რომელიც ხორციელდება ნიკარაგუაში, სანდინისტური ეროვნული რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი მონაპოვარი გახდა.

დანაშაულობა მატულობს

იაპონიის საზოგადოების სულ უფრო სერიოზული სოციალური პრობლემა ხდება დანაშაულებათა სწრაფი ზრდა. აქ პოლიციის მთავარი სამმართველოს „თეთრ წიგნში“ გამოქვეყნებული მონაცემებით, 1981 წელს ქვეყანაში მოხდა 1463 ათასი სისხლის სამართლის დანაშაული, 7,8 პროცენტით მეტი, ვიდრე ერთი წლის წინათ. ადგილობრივი პრესა, რომელიც განმარტავს ამ ფაქტს, შეშფოთებით აღნიშნავს, რომ კანონის დარღვევისათვის პოლიციის მიერ დაკავებულთა 52 პროცენტი 20 წლამდე ასაკის ქალიშვილები და ჭაბუკები.

სტუდენტურ მერიდიანზე

აუდიტორია № 93...

იგი მშობლიური და ახლობელია არა მარტო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის, არამედ ყველასთვის, ვისაც უყვარს ქართული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი პოეზია. ამ აუდიტორიაში იკრიბებიან ხოლმე სამშაბათობით უნივერსიტეტელი სტუდენტები და ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომებს მართავენ. ეს ტრადიციაა, შეუვალი და მყარი ტრადიცია.

დღეს რიგით ოცდამეთექვსმეტე ლიტერატურული თაობა ცდის კალამს უნივერსიტეტის კედლებში. ასე გრძელდება ტრადიცია, ასე ეზრდება ახალი ცვლა ქართულ მწერლობას. აქ მუდამ კრძალვით ეკიდებოდნენ სტუდენტები ერთმანეთის შემოქმედებას და საფუძვლიან, გულწრფელ კამათში იბადებოდა ერთი საერთო და მეტ-ნაკლებად უმცდარი აზრი წრეზე განსახილველად წარმოდგენილ მოთხრობებსა და ლექსებზე, თარგმანებსა თუ კრიტიკულ წერილებზე. ასეა დღესაც. ყოველი მორიგი სხდომა, ლიტერატურული ღონისძიება თუ ნაწარმოებთა განხილვა თავისებური საერთო დღესასწაულია, რომელიც რამდენიმე დღით ადრე — პირველ კორპუსში გამოკრული განცხადების გაცნობით იწყება ხოლმე.

პროფესორი ტარიელ კვანჭილაშვილი ხელმძღვანელობდა დაარსების დღიდან. წრეს, რომელიც ამჟამად დოცენტ ვახტანგ გოგუაძის მესვეურობით განაგრძობს მუშაობას. სწორედ მისი და წრის წევრების დამსახურებაა ის, რომ წრემ პირველად „გაიხედა“ ოთხმოცდამეცამეტე აუდიტორიის ფანჯრებს გარეთ და საინტერესო შეხვედრები გამართა რესპუბლიკის მშრომელებთან, რამაც კიდევ უფრო შინაარსიანი და მრავალფეროვანი გახადა ახალგაზრდა ლიტერატორთა მუშაობა.

ყოველივე ეს პასუხია იმ დიდი ყურადღებისა და ზრუნვისა, რაც ასე დროულად და ყოვლისმომცველად აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში „შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის თაობაზე“, პასუხია ამ დადგენილებაში მოცემული იმ მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობისა, რასაც დრო, ჩვენი თანამედროვე ცხოვრება მოითხოვს, რასაც ავალებს ყოველ შემოქმედებითს ორგანიზაციას, თითოეულ ნიჭიერ ახალგაზრდა შემოქმედს.

დავდგეთ იქ, სადაც ვჭირდებით ხალხსა და ქვეყანას, უფრო ახლოს მივიდეთ მშრომელ კაცთან, ჩავწვდეთ მის სულიერ სამყაროს და მართალი გულით, მართალი კალმით დავხატოთ ჭეშმარიტი პორტრეტი ჩვენი თანამედროვისა — ასეთია წრის წევრთა სურვილი. ამ გულისთქმით ეწვიენ ისინი ამას წინათ აჭარასა და მის დედაქალაქს — ბათუმს.

„მაისი ყველგან არის მაისი, მაგრამ ბათუმში მაინც სხვა არი“... — ამ სიტყვებით დაიწყეს უნივერსიტეტელებმა თავიანთი პოეზიის საღამო ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ბევრი ახალი ნაწარმოები, ლექსი თუ მოთხრობა გააცნეს იმ საღამოს დარბაზში შეკრებილთ მაყვალა გონაშვილმა და ლონდა ესაძემ, ვალერი ჯინჭარაძემ და ლიანა წიქლაურმა. მარინე ცვეტაევას, არსენი ტარკოვსკის, უილიამ ბლეიკის, ქეთრინ მენსფილდის ნაწარმოებთა ახალი თარგმანები წაიკითხეს ლ. ესაძემ და ლ. წიქლაურმა. მერე ჯერი მასპინძლებზე მიდგა, ახლა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრებმა გააცნეს თავიანთი შემოქმედება უნივერსიტეტელებს: საკუთარი ლექსები წაიკითხეს ნუგზარ ჯაფარიძემ, ბელა ქებურიამ, ზურაბ ფირცხალაიშვილმა, ამირან ხაბაზმა და ვახტანგ ღლონტმა. პოეზიის საღამოს დასასრულს კი ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტებმა ხევსურეთში საზაფხულო პრაქტიკის დროს მოძიებული და ჩაწერილი ლექსებისა და თქმულებების საინტერესო ლიტერატურული მონტაჟი წარმოადგინეს.

წრის წევრებს საქმიანი, საინტერესო შეხვედრა ჰქონდათ ჟურნალ „ჭოროხის“ სარედაქციო კოლეგიასთან — ცნობილ მწერლებთან ალექსანდრე სამსონიასთან, ფრიდონ ხალვაშთან, მამია ვარშანიძესთან და გიორგი სალუქვაძესთან, რომლებმაც ჩვენი ლიტერატურისა და კრიტიკის არა ერთ მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხზე ისაუბრეს. აქვე გამოითქვა ურთიერთთანამშრომლობისა და გაერთიანებული ლიტერატურული საღამოს მოწყობის სურვილი და შემდგომი შეხვედრის ვადაც მოინიშნა.

„მივცეთ პოეტებს სამშობლო მხარე — ულამაზესი ედემის დარი“.. ტიციანის ამ სიტყვებით დაემშვიდობნენ ერთმანეთს იმ დღეს უნივერსიტეტელი და ბათუმელი ახალგაზრდა მწერლები.

მერი ტორაძე,
თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

ყაბახი

ნანატრი გამარჯვება

ვლადიმერ აფციაური მსოფლიოს ჩემპიონია



რომიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: საბჭოთა რაპირისტ ვაჟთა ნაკრებმა გუნდურ ასპარეზობაში უძლიერესის წოდება მოიპოვა. მის შემადგენლობაში იყვნენ მინსკელი ალექსანდრე რომანკოვი, ტაშკენტელი ვიტალი ლოგვინი, თბილისელი ვლადიმერ აფციაური და ფრუნზელი იური ლიკოვი. ქართველი სპორტსმენებიდან ასეთ დიდ წარმატებას წლების მანძილზე ველოდით, და აი, ეს ნანატრი გამარჯვება ვლადიმერ აფციაურმა მოგვიტანა.

სურათზე: ვ. აფციაური.

◆

მესამე ახალგაზრდული...

ჩვენი ქვეყნის ქალაქებში გრძელდება მესამე საკავშირო ახალგაზრდული ასპარეზობანი.

ლენინგრადში მოჭადრაკეთა გუნდური შეჯიბრება დასასრულს მიუახლოვდა. ფინალური ჯგუფის ბოლო, მეხუთე ტურის წინ საქართველოს ნაკრებს 12,5 ქულა და 10 გადადებული პარტია აქვს. უკრაინელებმაც 12, 5 ქულა დააგროვეს და ამასთან ერთად 7 დასამთავრებელი პარტია აქვთ. 11,5-11,5 ქულით მომდევნო ადგილებზე არიან რუსეთის ფედერაციისა და ლენინგრადის მოჭადრაკეები (პირველებს — 6 გადადებული, მეორეებს კი 1 დასამთავრებელი პარტია). მოსკოველებმა დააგროვეს 11 ქულა (4 გადადებული), უზბეკებმა — 9 (4).

ლენინგრადშივე გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში საქართველოს სპორტსმენმა ე. კორტიევამ შუბის ტყორცნაში პირველობა მოიპოვა — 80, 70 მეტრი. გოგონათა შორის 100 მეტრზე რბენაში მ. აზარაშვილი მეხუთე იყო. მისი შედეგია 12,06 წამი.

ბალახის ჰოკეისტთა შეჯიბრებაში, რომელიც მოსკოვში უკვე დამთავრდა, საქართველოს გოგონათა ნაკრებმა მეთორმეტე ადგილი დაიკავა, ჭაბუკთა გუნდმა კი მერვე.

ხელბურთელები ზაპოროჟიეში ასპარეზობენ. აქ ფინალური ექვსეულისკენ გაიკაფა გზა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა, გოგონები კი ფინალურ ექვსეულს მიღმა დარჩნენ.

მინსკში სამბისტებმა ხუთ წონით კატეგორიაში (48, 57, 68, 82 და 100 კგ) დაამთავრეს შეჯიბრება. საპრიზო ექვსეულებში საქართველოდან ორი სპორტსმენი მოხვდა. გ. ხალოშვილი (82 კგ) ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, ხოლო გ. კობერიძე (100 კგ) მეხუთე ადგილზე გამოვიდა.

მოსკოვში ასპარეზობენ მესტენდეები. თბილისელმა დ. მანჯგალაძემ მრგვალ სტენდზე სროლაში VI ადგილი დაიკავა.

მინსკში მოხმალავეთა შორის საქართველოს სპორტსმენთაგან ზ. გაგნიძემ IV ადგილი დაიკავა. რაც შეეხება რაპირისტ ვაჟთა გუნდურ შეჯიბრებას, აქ საქართველოს ნაკრები IX ადგილს დასჯერდა.

მოკლედ

ფეხბურთი. გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. კიევის დინამოელებმა მიიღეს მინსკელი თანაკლუბელები. შეხვედრა დამთავრდა მინსკელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

ჭადრაკი. ესპანეთის ქალაქ ლას-პალმასში მიმდინარე ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო შეჯიბრების ხუთი ტურის შემდეგ გათამაშდა გადადებული პარტიები. 3,5 ქულით ლიდერობს ტუკმაკოვი (აქვს ერთი გადადებული პარტია). სმისლოვს, ტ. პეტროსიანს, ლარსენს (დანია), ტიმანს (ჰოლანდია) და რიბლის (უნგრეთი) 3-3 ქულა აქვთ.

პროფესორ მიხეილ ჩაჩავას დაბადების 80 წელი შეუსრულდა

სახელოვანი მამულიშვილი

საქართველოში ქირურგიის ფუძემდებლის აკადემიკოს გრ. მუხაძის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოწაფეს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ მიხეილ ჩაჩავას 80 წელი შეუსრულდა. იგი დაიბადა ლანჩხუთში, აქვე წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც 1928 წელს დაასრულა.

მან სტუდენტობის წლებიდანვე საბოლოო პროფესიად ქირურგია აირჩია, იგი მესამე კურსიდან ამ განხრით შეუდგა მუშაობას, მთელ თავისუფალ დროს კლინიკაში ატარებდა, თვალყურს ადევნებდა უფროსთა საქმიანობას.

მიხეილ ჩაჩავა აკადემიკოს გრ. მუხაძის კლინიკაში ასპირანტად ჩაირიცხა 1930 წელს. სწორედ აქედან იწყება მ. ჩაჩავას შემოქმედებითი წინსვლა როგორც მეცნიერებაში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში.

1950 წელს მიხეილ ჩაჩავა აირჩიეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგედ, ხოლო 1968 წელს — სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგედ, 1974 წლიდან კი ამ კათედრის მეცნიერ-კონსულტანტია.

მრავალი წლის მოღვაწეობით პროფესორი მ. ჩაჩავა თავისი ერის წინაშე პირნათლად წარდგა როგორც დიდი ქირურგი და შესანიშნავი მოქალაქე, მან ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ თანამოსაქმეებთან ერთად ახალ მწვერვალებზე აეყვანა ქართული მედიცინა, და, კერძოდ, ქირურგია, თავისი საქმიანობით გაჰყოლოდა რუსეთის თვალსაჩინო დასტაქრების გზას და შეეთვისებინა ყოველივე ის, რაც მის მეცნიერებას გააჩნდა. რა თქმა უნდა, რუსი მეცნიერებიც დიდად აფასებდნენ მას. ყველაფერი ეს იგრძნობოდა მედიკოს მეცნიერთა მიერ ამიერკავკასიის, საკავშირო თუ საერთაშორისო ყრილობებზე და კონფერენციებზე. მისი მოხსენებები ყოველთვის იმსახურებდა საყოველთაო აღიარებას, საქართველოს ქირურგებს კი სიამაყის გრძნობას უნერგავდა.

პროფესორ მ. ჩაჩავას, როგორც ქართველი ქირურგის, სახელი საერთაშორისო სარბიელზეც მკაფიოდ ჩანს, 1959 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ მიუნხენში მსოფლიოს ქირურგთა XIX კონგრესზე და 1964 წელს ვენაში კოლეჯთა მსოფლიო კონგრესზე მან წარმოადგინა მოხსენებები. გულმკერდის ქირურგიაში დახელოვნების მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხაზით ოთხი თვის განმავლობაში მივლინებული იყო ლონდონში, სადაც მუშაობდა ცნობილ კარდიოქირურგთან სერ რასელ ბროკთან.

შემდეგ, როცა თბილისში ინგლისიდან და დანიიდან ჩამოვიდა ქირურგების ტურისტული დელეგაცია 40 კაცის შემადგენლობით, მათ შორის ბევრი აღმოჩნდა მიხეილ ჩაჩავას ნაცნობი და პატივისმცემელი. თბილისში ისინი დაესწრნენ პროფესორ ჩაჩავას ოპერაციას. კეთდებოდა ხელოვნური საყლაპავი მილის I ეტაპი ანტეთორაკალური მიდგომით. ოპერაცია მიმდინარეობდა ცნობილი ქართველი ქირურგის დავით იოსელიანის კლინიკაში. სტუმრები ოპერაციით აღფრთოვანებული დარჩნენ: საღამოხანს სტუმრებმა მიხეილ ჩაჩავასთან ერთად ვაკის პარკში გაისეირნეს. პარკის შესასვლელში ლომის ქანდაკებასთან მას სურათი გადაუღეს და აჩუქეს შემდეგი წარწერით: ლომი ლომთან. მართლაც, რა სიმბოლურია მისი პიროვნებისათვის ეს წარწერა.

დიდი და მრავალფეროვანია მიხეილ ჩაჩავას ქირურგიული შემოქმედების ასპარეზი. მას 20 ათასზე მეტი ოპერაცია აქვს გაკეთებული და, ვინ მოთვლის, რამდენ ათას ავადმყოფს, უკვე განწირულსა და უიმედოს, დაუბრუნა სიცოცხლე. იგი ერთნაირი წარმატებით აკეთებდა ურთულეს ოპერაციებს მუცლისა და გულმკერდის ღრუში, ფილტვისა და ძვალსახსრის ტუბერკულოზის დროს... ძნელად თუ მოიძებნება ისეთი მრავალმხრივი ქირურგი, როგორიც მიხეილ ჩაჩავა გახლავთ. ახალგაზრდობის წლებში იგი ხშირად მიემგზავრებოდა ხოლმე ხანგრძლივი მივლინებებით მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის და სხვა ქალაქების წამყვან კლინიკებში და ცოდნით გაღრმავებული მებრძოლი გუშაგივით თავისი ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე იდგა თავდაუზოგავად და მთელი შემართებით.

მან საქართველოში პირველმა შეასრულა ისეთი რთული ოპერაციები, რომლებიც სამუდამოდ დარჩება მედიცინის ისტორიაში. მიხეილ ჩაჩავა იმ ბედნიერ ქირურგთა რიცხვს ეკუთვნის, რომელსაც იშვიათად თუ განუცდია დამარცხება.

შეუდარებელია მიხეილ ჩაჩავა, როგორც პედაგოგი და ახალგაზრდობის უბადლო აღმზრდელი. ჩვენს სტუდენტობას არასოდეს დაავიწყდება მისი ღრმაშინაარსიანი ლექციები, რომელიც მუდამ აღსავსე იყო კლინიკური, თუ საკუთარი გამოცდილების მაგალითებით. დიდი ორატორული ნიჭი და საუკეთესო დიქცია მრავალფეროვანი კლინიკური მასალის გამოყენებასთან ერთად ხიბლავდა სტუდენტობას და ამიტომ იყო, რომ მის ლექციებს ყველა სულგანაბული უსმენდა. მას ხომ ყოველთვის დიდად ახარებდა ყოველგვარი წინსვლა ახალგაზრდა დასტაქრისა. საოპერაციოში გვერდში ედგა ახალგაზრდებს, ასწავლიდა და დიდ იმედს უნერგავდა მათ. ქირურგების იმ თაობას, რომელიც მისი ენერგიით აღსავსე წლების მუშაობას მოესწრო, არასოდეს არ დაგვავიწყდება ეს ქირურგი-ოსტატი, ნამდვილი ჯადოქარი.

დიდი და მრავალფეროვანია მიხეილ ჩაჩავას მეცნიერული მოღვაწეობა. მის კალამს ეკუთვნის 150 სამეცნიერო შრომა, რომელთაგან 8 მონოგრაფიაა და ოთხი სახელმძღვანელო კერძო და ზოგად ქირურგიაში. ეს შრომები ძირითადად მისი ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობის შედეგია.

მიხეილ ჩაჩავას ძალზე იზიდავდა ექსპერიმენტული ხასიათის გამოკვლევები და ამ მხრივ მეტად საინტერესო შრომები აქვს დაწერილი. ექსპერიმენტული კვლევის დიდი ნაწილი შესრულებულია ლენინგრადის ძვალსახსართა ტუბერკულოზის ინსტიტუტში, რომელიც საფუძვლად დაედო მის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს.

ექსპერიმენტული ხასიათის ნაშრომები, რომლებიც შეეხება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებას, აგებულია ოპერაციული მასალის ჰისტომორფოლოგიური შესწავლის მონაცემებზე და ეყრდნობა ექსპერიმენტული ოპერაციების მასალის შესწავლას. ამ კვლევის საფუძველზე გამოტანილია მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები, რომლებსაც კორექტივი შეაქვს წყლულოვანი დაავადების ქირურგიაში. რამდენიმე შრომა კლინიკურ-ექსპერიმენტული ხასიათისაა. ეს ნაშრომები ავტორის კლინიკური დაკვირვებებია, რომლებშიც მან შეძლო გამოენახა ქირურგიული მოქმედების ახალი გზა, ახალი ვარიანტი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაშრომთა ნაწილი ახალი სიტყვაა მედიცინაში. მაგალითად, განივი კოლინჯის გადანაცვლება სწორი ნაწლავის რეზექციის დროს იმ პერიოდში სრულიად ახალი სიტყვა იყო. ასევე ახალია დუოდენალური სტენოზის კლასიფიკაცია და მისი შესაბამისი ოპერაციის შერჩევა, დიაფრაგმის რელაქსაციის დროს მისი გასამაგრებელი ოპერაციული ტექნიკა, ფილტვის და ღვიძლის ექინოკოკის ერთდროული ოპერაცია, მხრის ამოვარდნილობის ჩაყენების მისეული წესი და მრავალი სხვა.

მუცლის ღრუს ორგანოთა დაავადებას მიხეილ ჩაჩავამ ოცდაათზე მეტი ნაშრომი მიუძღვნა, რომლებშიც გაშუქებულია ამ ლოკალიზაციის თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხი, ამ მხრივ მნიშვნელოვანია წყლულოვანი დაავადებებისადმი მიძღვნილი შრომები. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში წყლულოვანი დაავადების შესწავლასა და ასეთ ავადმყოფთა გაჯანსაღებაში მიხეილ ჩაჩავას მეტად დიდი ღვაწლი მიუძღვის. მან 3.000-ზე მეტ წყლულოვან ავადმყოფს გაუკეთა ოპერაცია ჩინებული შედეგით.

1931-39 წლებში მიხეილ ჩაჩავამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი გულმკერდის ორგანოთა პათოლოგიის შესწავლას. იმხანად თბილისში ამ დარგის სპეციალისტი არც იყო, რისთვისაც იგი ხანგრძლივი მივლინებით გაემგზავრა რუსეთის წამყვან კლინიკებში, მათ შორის ორი თვე დაჰყო აკადემიკოს ს. იუდინთან მოსკოვში. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მიხეილ ჩაჩავამ დაიწყო საყლაპავი მილის, შუასაყარის, ფილტვების ოპერაციების გაკეთება, ამის შედეგად საკმაო მასალა დაუგროვდა და ყველაფერი ეს კარგად განაზოგადა თავის ნაშრომებში. ისინი შეეხება ჩვენში ხელოვნური საყლაპავი მილის შექმნის პირველ ოპერაციებს. მ. ჩაჩავამ დიდი როლი შეასრულა ამ ოპერაციების ფართოდ დანერგვის საქმეში, მალე გამოჩნდნენ მიმდევრები და საქმე წინ წავიდა. მიხეილ ჩაჩავას ფართოდ აქვს გაშუქებული ექინოკოკოზის საკითხი. მეტად საინტერესოა ოპერაციული ჩარევის ჩვენების საკითხი ფილტვებში ექინოკოკის მრავლობითი ლოკალიზაციის შემთხვევაში. ამჟამადაც სადავო ეს საკითხი მიხეილ ჩაჩავას თავის ნაშრომებში ლოგიკურად აქვს გადაწყვეტილი.

მიხეილ ჩაჩავას შემდგომი ნაშრომები შეეხება ძვლის პათოლოგიას, ძირითადად, ძვალ-სახსართა ტუბერკულოზს.

მონოგრაფიები „ძვლოვანი ქსოვილების აღორძინება და ძვლის დეფექტის დაპლომბვა“, „წყლულოვანი დაავადების ქირურგიული მკურნალობა“, „საყლაპავი მილის დამწვრობის პროფილაქტიკა და მკურნალობა“, „მუხლის სახსრის ტუბერკულოზი“, „კანის გადანერგვა“, „გული და ქირურგია“, „საყლაპავი მილის პათოლოგია“, „არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტი“ ეხება ქირურგის ყოველდღიური საქმიანობის საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც გაშუქებულია მეტად მაღალ მეცნიერულ დონეზე, ამ ნაშრომებში თავმოყრილია ავტორის დიდი პირადი პრაქტიკული გამოცდილება.

აი, რა დიდია მიხეილ ჩაჩავას მეცნიერული შემოქმედების ჰორიზონტი, რა მრავალფეროვანი და საინტერესოა მისი ყოველი ჩანაფიქრი.

პარტიამ, მთავრობამ დიდად დააფასეს მიხეილ ჩაჩავას მოღვაწეობა, იგი დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშის“ ორდენით და მრავალი მედლით. სამჯერ იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, 1954 წელს კი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იგი არის თბილისის გრ. მუხაძის სახელობის ქირურგთა საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე, საკავშირო ქირურგიული საზოგადოების გამგეობის წევრი, დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის თანარედაქტორი.

ახლა იგი თავისი ხანდაზმულობის გამო უწინდელი გაქანებით ველარ ეწევა პრაქტიკულ და პედაგოგიურ მუშაობას, მაგრამ თავისი რჩევა-დარიგებებით, კონსულტაციებით მნიშვნელოვან სასიკეთო საქმეს აკეთებს ქართული მედიცინის მეცნიერების შემდგომი წინსვლისათვის.

გვინდა ვუსურვოთ ამ დიდ ადამიანს, ღვაწლმოსილ მეცნიერს დღეგრძელობა და მადლობა ვუთხრათ იმისათვის, რაც მან გააკეთა თავისი ხალხის, კეთილდღეობისათვის, ადამიანთა ჯანმრთელობის, მეცნიერების წინსვლისა და განვითარებისათვის.

ვ. ბურაკოვსკი,
სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ა. ბაკულევის სახელობის გულსისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი;

გ. იოსელიანი,
თბილისის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;

თ. სირია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება და ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 67 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ისიდორე სამსონის ძე დოლიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, უნივერსიტეტის პროფესორი

ისიდორე სამსონის ძე დოლიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო

აცხადებს რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის კოოპერირებული მომზადების წესით მიღებას 1982-83 სასწავლო წლისათვის სომხეთის და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების უმაღლეს პოლიტექნიკურ სასწავლებლებში:.

ერევნის კ. მარქსის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: 1. ზუსტი მექანიკის ხელსაწყოები; 2. მანქანათმშენებლობის ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია.

აზერბაიჯანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: 1. მეტალურგიული პროცესების ფიზიკურ-ქიმიური გამოკვლევა.

ზემოჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელნი არჩეული სპეციალობის შესაბამისად მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

სპეციალობებზე: ზუსტი მექანიკის ხელსაწყოები და მანქანათმშენებლობის ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია — მათემატიკა (წერა, ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).

სპეციალობებზე: მეტალურგიული პროცესების ფიზიკურ-ქიმიური გამოკვლევა — მათემატიკა (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).

შენიშვნა: ოქროსა და ვერცხლის მედლით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებულნი ან საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ ერთ საგანს, რომელიც მიმღები კომისიის მიერ იქნება დადგენილი.

აბიტურიენტი, რომელიც გამოცდაზე მიიღებს შეფასება „ორს", ეთიშება კონკურსს.

ნიშნის ამაღლების მიზნით გამოცდის გადაბარება დაუშვებელია.

მისაღები გამოცდები ეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

კონკურსი გაიმართება სპეციალობათა მიხედვით, ჩარიცხვა იწარმოებს მოქმედი წესების შესაბამისად.

საბუთები მიიღება 31 ივლისამდე.

გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოდან საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 77).

განცხადებას უნდა დაერთოს: საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მომუშავეთათვის), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), ხუთი ფოტოსურათი (უქუდოდ 3X4). ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს რუსულ ენაზე. განცხადების ფორმა გაიცემა მიმღებ კომისიაში. უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი პირადად წარადგენს პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

ქ. თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის საბაზო კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1982-1983 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელი ამზადებს საკლუბო დარგის მუშაკებს — კულტურის სახლის დირექტორებს, მეთოდისტებს, სამხატვრო ხელმძღვანელებს ქორეოგრაფიული (ქართული ხალხური ცეკვების ქორეოგრაფიის), **სარეჟისორო** (თვითმოქმედი დრამატული კოლექტივის რეჟისორის), **საგუნდო-სადირიჟორო** (თვითმოქმედი საგუნდო კოლექტივის დირიჟორის სპეციალიზაციით.

სასწავლებელში მიიღებიან კულტურის განყოფილების მიერ წარმოგზავნილი საშუალო განათლების მქონე 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი. სასწავლებელში შესვლის მსურველებმა მისაღები გამოცდები უნდა ჩააბარონ: სპეციალობაში, ქართულ წერასა და სსრკ ისტორიაში.

სპეციალობაში გამოცდაზე მოწმდება:

ქორეოგრაფიულ განყოფილებაზე — ფიზიკური მონაცემები, რიტმის გრძნობა და მუსიკალობა (აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს დამოუკიდებლად მომზადებული ცეკვა);

სარეჟისორო განყოფილებაზე — რეჟისორული აზროვნების უნარი, სამსახიობო და მუსიკალურ-სმენითი მონაცემები, წაიკითხოს იგავ-არაკი, ლექსი და პროზაული ნაწყვეტი, შეასრულოს ეტიუდი.

საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე — მუსიკალურ-ვოკალური მონაცემები, რიტმის გრძნობა, მუსიკალური მეხსიერება და შეასრულოს ორი სხვადასხვა ხასიათის სიმღერა.

სასწავლებელში ჩარიცხვის უპირატესი უფლებებით სარგებლობენ: ა) საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი, ბ) საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები, გ) ის პირნი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ ცოტა 2 წლის სტაჟი და მუშაობენ სასწავლებელში შემოსასვლელად არჩეული სპეციალობით. სასწავლებელში შემოსვლის მსურველებმა უნდა შემოიტანონ სასწავლებლის დირექტორის სახელზე განცხადება და წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), ფოტოსურათი ((3X4 სმ), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან; პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა წარმოდგენილი უნდა იქნეს პირადად.

განცხადების მიღება 1982 წლის 6 ივლისიდან 9 აგვისტომდე. კონსულტაციები გაიმართება 4, 5, 6, 7 — აგვისტოს.

მისაღები გამოცდები: 9 აგვისტოდან 21 აგვისტომდე.

სასწავლებელში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში ქ. თბილისი, კალინინის ქ. № 88. ტელეფონი: 95-26-47, 95-10-50, 95-30-84.

ტელევიზია

21 ივლისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — ლენინგრადის მ. ი. გლინკას სახელობის აკადემიური კაპელის კონცერტი. 10.20 — „ბრემენელი მუსიკოსები. „ბრემენელი მუსიკოსების კვალდაკვალ". მულტფილმები. 11.00 — მხატვრული ფილმი „პირველი ხელთათმანი". 12.20 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.25 — ჰორიზონტი. 17.25 — ობიექტივი. 18.00 — დ. კაბალევსკი — შექსპირის 10 სონეტი. ს. მარშაკის თარგმანი. 18.30 — გამოგვეხმაურეთ, მებუკენო! 19.15 — ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — სასურსათო პროგრამა საერთო-სახალხო საქმეა. დამთავრების შემდეგ — კონცერტი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ს. ნაროვჩატოვის პოეზიის საღამო. 00.15 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — მხატვრული ფილმი „გამოთხოვება პეტერბურგთან". 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 11.30 — ფიზიკა. 12.00 — მულტფილმები. 12.25 — „თევდორე ტროფიმეს მე და სხვანი...". მე-2 გადაცემა. 12.55 — ფილმი — ბავშვებს. „ბრინჯაოს ფრინველი". მესამე სერია: 14.00 — გერმანული ენა. 14.30 — დოკუმენტური ტელეფილმები. 15.25 — საქართველოს ფოლკლორული ანსამბლის „ფაზისის" კონცერტი. 15.55 — ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეზია. 16.40 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — ფილმ-კონცერტი „ჩემს მშობლიურ მხარეში". 19.30 — გასული კვირის სპორტული ამბები. 20.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „მესამე განზომილება". პირველი სერია — „შინისაკენ".

21 ივლისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სტასის კრასაუსკასი", 10.00 — „მოამბე", 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა"—მხატვრული ფილმი „შავყურა თეთრი ბიმი". (პირველი სერია), 12.00 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბაქო და ბაქოელები", 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი, 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.30 — განცხადებები, 17.35 — „თეატრი და ბავშვები", 18.35 — „ძველი ქართული კულტურის კერები", 19.10 — „ხეხილი-82" (გადაცემა მეორე), 19.30 — „მოამბე", 20.00 — „სასურსათო პროგრამა საერთო-სახალხო საქმეა" — ციკლიდან „პრობლემები, ძიებები, გადაწყვეტილებები" (მ.), დასასრულ — კონცერტი (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — სსრ კავშირის ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში (რეპორტაჟი თბილისის საცურაო აუზიდან), 23.20 — ფოლკლორული ანსამბლის „ფაზისის" კონცერტი, 23.50 — ახალი ამბები,

მეორე პროგრამა. 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.30 — განცხადებები, 17.35 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ეპეი, კროხა!".

თეატრი

21 ივლისი

აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — პეპანი ცაში (პრემიერა).

გიწვევთ სასწავლებლად!

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

აცხადებს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების 10 კლასდამთავრებულ მოსწავლეთა მიღებას ტექნიკურ სასწავლებლებში, აგრეთვე საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლებთან არსებულ ტექნიკურ ჯგუფებში:

მანქანათმშენებლობის, სამშენებლო, სამთო, სამონტაჟო, მეტალურგიის, ქვანახშირის, ქიმიური, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთმშენებელი, ელექტრონული, რადიოტექნიკური, მსუბუქი, პოლიგრაფიის, თევზის მრეწველობის, საზღვაო ფლოტის, ავტოტრანსპორტის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, მეცხოველეობისა და სხვა პროფესიებზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი პროფესიების დასახელება და სასწავლებლების მონაცემები, სადაც წარმოებს ამ პროფესიებზე მოსწავლეთა მიღება.

ხარატი: № 26—თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 72-ბ, ტელ. 66-42-02; № 32—თბილისი, ახალქალაქის ქ. № 32, ტელ. 66-14-90; № 33—ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12, ტელ. 6-40-47; № 38—თბილისი, კომკავშირელის II ქ. № 22, ტელ. 74-22-91; № 45—სოხუმი, არგუნის ქ. № 70, ტელ. 2-93-63; № 49—თბილისი, გორგასალის ქ. № 115, ტელ. 72-11-83; ფილიალის № 58 — სოხუმის რაიონი, ს. აგუძერა; № 60—თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2-ა, ტელ. 34-72-59; № 132 — თბილისი, გორგასალის ქ. № 115, ტელ. 72-25-99; № 145 — ქუთაისი, ავტოქარხნის ქ. № 81.

მღარავი: № 26—თბილისი, ავჭალის გზატკეცილის № 72-ბ, ტელ. 66-42-02; № 38 — თბილისი, კომკავშირელის II ქ. № 22, ტელ. 74-22-91.

ელექტროშემდუღებელი: № 26 — თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 72-ბ, ტელ. 66-42-02; № 32 — თბილისი, ახალქალაქის ქ. № 32, ტელ. 66-14-90; № 33—ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12, ტელ. 6-40-47; № 46—გალის რაიონი, ს. საბერიო; № 47 — გარდაბანი, თბილგრესის დასახლება, № 52—თელავი, ალაზნის პრ. № 6;, № 60 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2-ა, ტელ. 34-79-59; № 62 — ზუგდიდი, კრილოვის ჩიხი № 3; № 78—ცხინვალი, გმირების ქ. № 35; № 87 — თერჯოლის რაიონი, ს. ნახშირღელე; № 94 — რუსთავი, ტაშკენტის ქ. № 14, ტელ. 12-69-96; № 104 — რუსთავი, ნიკოლაძის ქ. № 3, ტელ. 12-06-90; № 110 — თბილისი, ლიბანის ქ. № 33, ტელ. 62-19-44; № 119 — ხეთა, ხობის რაიონი; № 142 — რუსთავი, კიროვის ქ. № 2, ტელ. 12-17-76; № 144 — ზესტაფონი, კოსმონავტების ქ. № 1; № 145 — ქუთაისი, ავტოქარხნის ქ. № 81; № 147 — გომარეთი, დმანისის რაიონი;

ზეინკალ-მეიარაღე, ავტომატური და ნახევრად ავტომატური ჩარხების ოპერატორი: № 60, თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2-ა, ტელ. 34-72-59;

მექანიკურ სამუშაოთა ამწყობი ზეინკალი: № 26 თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 72-ბ, ტელ. 62-64-83; № 32 — თბილისი, ახალქალაქის ქ. № 32, ტელ. 66-14-90; № 38 — თბილისი, კომკავშირელის II ქ. № 22, ტელ 72-22-91; № 49 — თბილისი, გორგასალის ქ. № 115, ტელ. 72-11-83; № 51 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 5, ტელ. 66-18-29; ფილიალი № 58 — სოხუმის რაიონი, ს. აგუძერა; № 60 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2-ა, ტელ. 34-72-59; № 69 — მაიაკოვსკი, რუსთაველის ქ. № 120; № 97 — თბილისი, ჯიქიას ქ. № 3, ტელ. 31-21-76; № 147 — გომარეთი დმანისის რაიონი; № 150 — თბილისი, კამოს ქ. № 37, ტელ. 95-60-78;

ზეინკალ-შემკეთებელი: № 4 — ქუთაისი, ავტოქარხნის დასახლება, ტელ. 6-95-73; № 5 — თბილისი, ართვინის ქ. № 53, ტელ. 95-23-72; № 26 თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 72-ბ, ტელ. 66-42-02; № 33 — ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12, ტელ. 6-40-47; № 38 — თბილისი, კომკავშირელის II ქ. № 22, ტელ. 74-22-91; № 45 — სოხუმი, არგუნის ქ. № 70, ტელ. 2-93-63; № 51—თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 5, ტელ. 66-18-29; № 77 — ზუგდიდის რაიონი, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა; № 89 — მცხეთა, სამგორის ქ. № 4-ა; 97 — თბილისი, ჯიქიას ქ. № 3, ტელ. 31-21-76; № 104 — რუსთავი, ნიკოლაძის ქ. № 3, ტელ. 12-06-90; № 145 — ქუთაისი, ავტოქარხნის ქ. № 81.

მტვიფრავი: № 26 — თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 72-ბ, ტელ 66-42-02; № 51 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 5, ტელ. 66-18-29; № 60 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2-ა, ტელ. 34-72-59; № 45 — სოხუმი, არგუნის ქ. № 70, ტელ. 2-93-63.

მწნეხავი: № 51 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 5, ტელ. 66-18-29; № 132 — თბილისი, გორგასალის ქ. № 115, ტელ. 72-25-99.

ელექტრული მოწყობილობების მომსახურე და შემკეთებელი ელექტრომონტიორი: № 26 — თბილისი, ავჭალის გზატკეცილის № 72-ბ, ტელ. 66-42-02; № 33 — ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12, ტელ. 6-40-47; № 51 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 5, ტელ. 66-18-29; № 94 — რუსთავი, ტაშკენტის ქ. № 14, ტელ. 12-69-96; № 97 — თბილისი, ჯიქიას ქ. № 3, ტელ. 31-21-76; № 104 — რუსთავი, ნიკოლაძის ქ. № 3, ტელ. 12-06-90; № 144 — ზესტაფონი, კოსმონავტების ქ. № 1, № 145 — ქუთაისი, ავტოქარხნის ქ. № 81; № 147 — გომარეთი, დმანისის რაიონი; № 150 — თბილისი, კამოს ქ. № 37, ტელ. 95-60-78;

განათების (ძალოვანი) ქსელების ელექტრომემონტაჟე: № 60 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2-ა, ტელ. 34-72-59; № 108 — თბილისი, ქერჩის შესახვ. № 3, ტელ. 62-56-04; № 150 — თბილისი, კამოს ქ. № 37, ტელ. 95-60-78;

ამწის მემანქანე (მეამწე): № 26 — თბილისი, ავჭალის გზატკეცილის № 72-ბ, ტელ. 66-42-02; № 32 — თბილისი, ახალქალაქის ქ. № 32, ტელ. 66-14-90; № 94 — რუსთავი, ტაშკენტის ქ. № 14, ტელ. 12-69-96; № 144 — ზესტაფონი, კოსმონავტების ქ. № 1, № 145 — ქუთაისი, ავტოქარხნის ქ. № 81.

ხელით ყალიბის მეყალიბე: № 145 — ქუთაისი, ავტოქარხნის ქ. № 81.

ზეინკალ-ელექტრომემონტაჟე: № 33 — ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12, ტელ. 6-40-47; № 38 — თბილისი, კომკავშირელის II ქ. № 22, ტელ. 74-22-91; № 49 — თბილისი, გორგასალის ქ. № 115, ტელ. 72-11-83; ფილიალი № 58 — სოხუმის რაიონი, ს. აგუძერა, № 68 — ვანი, სტალინის ქ. № 33.

ავტომატიკისა და საზომ-საკონტროლო ხელსაწყოთა ზეინკალი: № 33 — ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12, ტელ. 6-40-47; № 47 — გარდაბანი, თბილგრესის დასახლება, ტელ. 93-89-10; № 75 — თბილისი, გლდანი, ქერჩის შესახვევის № 3, ტელ. 62-56-81;

საქვაბე დანადგარების ზეინკალ-მემონტაჟე: № 47 — გარდაბანი, თბილგრესის დასახლება, № 113—მზიფი;

ელექტრული მანქანების ამწყობი ზეინკალი: № 33 — ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12, ტელ. 6-40-47; № 49 — თბილისი, გორგასალის ქ. № 115, ტელ, 72-11-83;

მიკროსქემების ამწყობი: № 79 — თბილისი, დიღომი, გამწვანების ტერიტორია, ტელ. 51-63-97; № 98 — წალკა, სოფ. ავრანლო.

რადიოაპარატურის ამწყობი ზეინკალი: № 79 — თბილისი, დიღომი, გამწვანების ტერიტორია, ტელ. 51-63-97; № 97 — თბილისი, ჯიქიას ქ. № 3, ტელ. 31-21-76; № 133 — თბილისი, დიდი ხეივნის ქ. № 9.

რადიოაპარატურის მემონტაჟე: № 33—ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12, ტელ. 6-40-47; № 38 — თბილისი, კომკავშირელის II ქ. № 22, ტელ. 74-22-91, № 49 — თბილისი, გორგასალის ქ. № 115, ტელ. 72-11-83, № 60 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2-ა, ტელ. 34-72-59; № 79 — თბილისი, დიღომი, გამწვანების ტერიტორია, ტელ. 51-63-97. № 133 — თბილისი, დიდი ხეივნის ქ. № 9, № 150 — თბილისი, კამოს ქ. № 37, ტელ. 95-60-78.

ჰიდრომეტეოსამსახურის რადიოოპერატორი; № 49 — თბილისი, გორგასალის ქ. № 115, ტელ. 72-11-83.

რადიოფიკაციისა და სოფლის სატელეფონო კავშირის ელექტრომონტიორი, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის მეელხმენე: № 65 — თბილისი, ნარიმანოვის ქ. № 8, ტელ. 72-44-44.

ქალაქის სატელეფონო კავშირის საბონენტო და სახაზო მოწყობილობათა ელექტრომონტიორი: № 60 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2-ა, ტელ. 34-79-59; № 65 — თბილისი, ნარიმანოვის ქ. № 8, ტელ. 72-44-44.

ტელეგრაფისტი: — № 58 — სოხუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. № 7, ტელ. 2-71-63; № 65 — თბილისი, ნარიმანოვის ქ. № 8, ტელ. 72-44-44.

კავშირგაბმულობის ოპერატორი, სატელეგრაფო სადგურის ელექტრომონტიორი და მეკაბელე-მრჩილავი: № 33 —ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12, ტელ. 6-40-47; № 65 — თბილისი ნარიმანოვის ქ. № 8, ტელ. 72-44-44.

მინის დამყალიბებელი მანქანების ოპერატორი-მემანქანე: № 33 — ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12, ტელ. 6-40-47; №109 — ხაშური, ბორჯომის ქ. № 4, ტელ. 2-27-35;

ცემენტის წარმოების მოწყობილობათა მემანქანეები და ზეინკლები: № 61—რუსთავი, ლომოურის ქ. № 6, ტელ. 12-60-90; № 148—კასპი.

ნავთობისა და გაზის მოპოვების ოპერატორები, მბურღავები: № 63 — თბილისი, ლილო, ტელ. 73-04-90.

კალატოზი, რკინაბეტონის კონსტრუქციის მემონტაჟე: № 18—თბილისი, ბუდაპეშტის ქ. № 1, ტელ. 37-13-90; № 26 — თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 72-ბ, ტელ. 66-42-02; № 68 — ვანი, სტალინის ქ. № 33, № 105 — ბათუმი, ლეონიძის ქ. № 2, ტელ. 3-69-96; № 108 — თბილისი გლდანი, ქერჩის შესახვევი № 3, ტელ. 62-56-04; № 109 — ხაშური, ბორჯომის ქ. № 4, ტელ. 2-27-35; № 143—ქუთაისი, წულუკიძის ქ. № 189; № 152 — ზესტაფონის რაიონი ს. კვალითი.

გვირაბგამყვანი: № 136—ტყიბული, ოქტომბრის ქ. № 40,. № 154 — თბილისი, გარიშვილების ქ. № 6, ტელ. 66-40-33;

ქვანახშირის წარმოების (მიწისქვეშა) ელმავლის მემანქანე, ელექტროზეინკალი, გვირაბგამყვანი: № 22 — ტყვარჩელი, ლაკობას ქ. № 4; № 136 — ტყიბული, ოქტომბრის ქ. № 40;

მეარმატურე, კარკასების ელექტროშემდუღებელი, მებეტონე: № 18 — თბილისი, ბუდაპეშტის ქ. № 1, ტელ. 37-13-90; № 46 — გალის რაიონი, საბერიო, № 58 — სოხუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. № 7, ტელ. 2-71-63; №105 — ბათუმი, ლეონიძის ქ. № 2, ტელ. 3-69-96; № 152 — ზესტაფონის რაიონი, ს. კვალითი.

ზეინკალ-სანტექნიკოსი: № 5 — თბილისი, ართვინის ქ. № 53, ტელ. 95-23-72; № 7 — ბორჯომი, კოკინაკის ქ. № 3, № 52 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 5, ტელ. 66-18-29; № 58 — სოხუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. № 7, ტელ. 2-71-63; № 60 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2-ა, ტელ. 34-72-59, № 62 — ზუგდიდი, კრილოვის ჩიხი № 3, 147—გომარეთი, დმანისის რაიონი, № 154 — თბილისი, გარიშვილის ქ. № 6, ტელ. 66-40-33.

მაღალი ძაბვის საჰაერო ხაზების მემონტაჟე-ელექტრომონტიორი: № 87 — თერჯოლის რაიონი, ს. ნახშირღელე; № 110 — თბილისი, ლიბანის ქ. № 33, ტელ. 62-19-44

ვენტილაციის სისტემის, ჰაერის კონდიციონერების ზეინკალ-მემონტაჟე; № 60—თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2 ა, ტელ. 34-72-59; № 61 — რუსთავი, ლომოურის ქ. № 6, ტელ. 12-60-90; № 137 — დ. ქაჯრეთი.

საერთო დანიშნულების (სამშენებლო-სამონტაჟო) სამუშაოთა ზეინკალ-მემონტაჟე: № 28—სამტრედია, გაგეშიძის ქ. № 26; № 60 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2 ა, ტელ. 34-72-59.

ლიფტის მემონტაჟე, ლიფტის ელექტრომექანიკოსი — № 150 — თბილისი, კამოს ქ. № 37, ტელ. 95-60-78.

კოშკურა ამწის მემანქანე — 54 — თბილისი, ჰეჟინაძის ქ. № 10, ტელ. 71-37-47;

ავტოამწის მემანქანე; № 54 — თბილისი, ჰეჟინაძის ქ. № 10, ტელ. 71-37-47; № 60 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2-ა, ტელ. 34-72-59; № 78 — ცხინვალი, გმირების ქ. № 35; № 139 — ცხაკაია, სამტრედიის ქ. № 21; № 143 — ქუთაისი, წულუკიძის ქ. № 189.

მღებავი, მომპირკეთებელ-მეფილე: № 18 — თბილისი, ბუდაპეშტის ქ. № 1, ტელ. 37-13-90; № 58 — სოხუმი ვაჟა-ფშაველას ქ. № 7, ტელ. 2-71-63; ფილიალი № 58 — სოხუმის რაიონი, ს. აგუძერა; № 78 — ცხინვალი, გმირების ქ. № 35, № 87 — თერჯოლის რაიონი, ს. ნახშირღელე; №105 — ბათუმი, ლეონიძის ქ. № 2, ტელ. 3-69-96; № 108—თბილისი, გლდანი, ქერჩის შესახვევი № 3, ტელ. 62-56-04; № 142 — რუსთავი, კიროვის ქ. № 2, № 143 — ქუთაისი, წულუკიძის ქ. № 189; № 152 — ზესტაფონის რაიონი, ს. კვალითი.

ქვის დამმუშავებელი, მეგრანიტე: № 54 — თბილისი, ჰეჟინაძის ქ. № 10, ტელ. 71-37-47.

მღებავი, მლესავი; № 29 — ვალე, სტალინის ქ. № 18-ა, ტელ. 4-17; № 69 — მაიაკოვსკი, რუსთაველის ქ. № 120, ტელ. 29-86; № 78 — ცხინვალი, გმირების ქ. № 35; № 87 — თერჯოლის რაიონი, ს. ნახშირღელე; № 105 — ბათუმი, ლეონიძის ქ. № 2, ტელ. 3-69-96; № 108 — თბილისი, გლდანი, ქერჩის შესახვევის № 3, ტელ. 62-56-04; № 139 —ცხაკაია, სამტრედიის ქ. № 21; № 142 — რუსთავი, კიროვის ქ. № 2, № 143 — ქუთაისი, წულუკიძის ქ. № 189, № 154 — თბილისი, გარიშვილების ქ. № 6, ტელ. 66-40-33;

სასოფლო მშენებლობის ოსტატი: № 13 — გურჯაანის რაიონი, ს. ველისციხე, № 77 ზუგდიდის რაიონი, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა; № 93 — ჩოხატაურის რაიონი, ს. ქვემო ერკეთი; № 98 — წალკა, ს. ავრანლო; № 122 — ახალციხე, რუსთაველის ქ. № 91; № 134 — ბოგდანოვკა, პუშკინის ქ. № 1, № 155 — ქარელი.

ქიმიური წარმოების პროფესიები (ფართო პროფილის მეაპარატე) მგრეხავი, ოპერატორი და სხვა): № 104 — რუსთავი, ნიკოლაძის ქ. № 3, ტელ. 12-06-90.

მეტალურგის პროფესიები: № 94 — რუსთავი, ტაშკენტის ქ. № 14, ტელ. 12-69-96; № 144 — ზესტაფონი, კოსმონავტების ქ. № 1.

გემის მემონტაჟე, ამწყობი, მღებავი: № 135 — ფოთი, ტაბიძის ქ. № 12 საზღვაო ფლოტისა და თევზჭერის მრეწველობის დოკერ-მექანიზატორი, მატროს-მოტორისტი — № 1 — ბათუმი, მარქსის ქ. № 2, ტელ. 3-36-40; № 135—ფოთი, ტაბიძის ქ. № 12; ტელ. 34-11.

ქალაქის ავტოტრანსპორტის — ტროლეიბუსის, ტრამვაის, ავტობუსის მძღოლი, საკონტაქტო ქსელის ელმონტიორი, ზეინკალ-ელექტრიკოსი, ავტომანქანის შემკეთებელ-ზეინკალი —№ 120 — თბილისი, შაუმიანის ქ. № 65, ტელ. 74-59-06.

რკინიგზის პროფესიები: № 31 — თბილისი, ოქტომბრის ქ. № 134, ტელ. 66-32-53; № 109 — ხაშური, ბორჯომის ქ. № 4, ტელ. 2-27-35; ფილიალი № 92 — კულაში, სამტრედია; № 126 — თბილისი, გლდანის მასივი, ქერჩის შესახვევის № 5.

ავტომანქანების ელექტრომოწყობილობათა ზეინკალ-შემკეთებელი: № 49 — თბილისი, გორგასალის ქ. № 115, ტელ. 72-11-83.

ავტომანქანების შემკეთებელი ზეინკალი: № 32 — თბილისი, ახალქალაქის ქ. № 32, ტელ. 66-14-90; № 38 — თბილისი, კომკავშირელის II ქ. № 22, ტელ. 74-22-94; № 74 — თბილისი, ჰეჟინაძის ქ. № 10, ტელ. 71-32-35; № 76 — ბათუმი, ლერმონტოვის ქ. № 84, ტელ. 3-90-19; № 105 — ბათუმი, ლეონიძის ქ. № 2, ტელ. 3-69-96; № 120 — თბილისი, შაუმიანის ქ. № 65, ტელ. 74-59-06; № 142 — რუსთავი, კიროვის ქ. № 2; № 143 — ქუთაისი, წულუკიძის ქ. № 149.

დურგალ-მეპარკეტე: № 78 — ცხინვალი, გმირების ქ. № 35; № 105 — ბათუმი, ლეონიძის ქ. № 2, ტელ. 3-69-96; № 142 — რუსთავი, კიროვის ქ. № 2.

ხის დამმუშავების დურგალი, ხურო: № 32 — თბილისი, ახალქალაქის ქ. № 32, ტელ. 66-14-90; № 33 — ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12, ტელ. 6-40-47; № 58 — სოხუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. 7, ტელ. 2-71-63; № 71 თბილისი, მარელისის ქ. № 12, ტელ. 71-00-80; № 87 — თერჯოლის რაიონი, ს. ნახშირღელე; № 152 — ზესტაფონის რაიონი, ს. კვალითი.

ისტორიული ძეგლების რესტავრატორი, ქვაზე ჭრის, ჭედურობის, ხელით ხალიჩების ქსოვის, მხატვრული ლების სპეციალისტები: № 11 — თბილისი, ჰონქაძის ქ. № 21, ტელ. 99-99-61;

პოლიგრაფიული წარმოების — წიგნის აწყობის, ბეჭდვის, აკინძვის სპეციალისტები: № 111 — თბილისი, დიღმის მასივი, მეგობრობის გამზირი II კვ. წიგნის ფაბრიკის ტერიტორია, ტელ. 51-30-70;

ფეხსაცმლის წარმოების, გამომჭრელის, კერვის სპეციალისტები: № 27 — თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის ქ. № 6 ტელ. 74-34-67;

მსუბუქი წარმოების მკერავ-მემანქანე: № 35 — თბილისი, კალინინის ქ. № 60, ტელ. 95-62-38; № 42 — ქუთაისი, კოსმონავტების ქ. № 65, ტელ. 6-87-11; № 43—თბილისი, ხუთწლედის ქ. № 65, ტელ. 66-16-62; № 68 — ვანი, სტალინის ქ. № 33; № 69 — მაიაკოვსკი, რუსთაველის ქ. № 120; № 73 — თიანეთი, რუსთაველის ქ. № 19; № 131 — ცხინვალი, მარქსის ქ. № 36; № 135 — ფოთი, ტაბიძის ქ. № 12; № 136 — ტყიბული, ოქტომბრის ქ. № 40; № 144 — ზესტაფონი, კოსმონავტების ქ. № 1.

მქსოველი: № 29 — ვალე სტალინის ქ. № 18-ა; № 36 — თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 108, ტელ. 62-41-39; ფილიალი — № 36 — თბილისი, ლენინის ქ. № 15, ტელ. 99-90-67;—№ 37 ქუთაისი, კიროვის ქ. № 93-ა, ტელ. 5-35-03; №39 — გორი, ბესიკის ქ. № 2; № 66 — ცხაკაია, ლენინის ქ. № 22; № 58 — სოხუმი ვაჟა-ფშაველას ქ. № 7, ტელ. 2-71-63; № 92 — კულაში; № 109 — ხაშური, ბორჯომის ქ. № 4.

მრთველი, მგრეხავი, გადამხვევი: № 8 — წულუკიძე, ლენინის ქ. № 36; № 23 — თბილისი, ტრიკოტაჟის ქ. № 3, ტელ. 66-19-55; № 24 — თბილისი, წერეთლის გამზ. № 134, ტელ. 34-09-65; № 36 — თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 108, ტელ. 62-41-39; № 39 — გორი, ბესიკის ქ. № 2; № 52 — თელავი, ალაზნის პრ. № 6; № 66 — ცხაკაია, ლენინის ქ. № 22; № 153 — საჩხერე.

მზარეული: № 25 — ბოლნისის რაიონი, დ. კაზრეთი; № 41 — თბილისი, მოსკოვის პრ. № 19, ტელ. 71-53-58 № 76 — ბათუმი, ლერმონტოვის ქ. № 84; ტელ. 3-90-19; № 90 — ქობულეთი რუსთაველის ქ. № 154, ტელ. 28-54;

ოფიციანტი: № 41 — თბილისი, მოსკოვის პრ. № 19, ტელ. 71-53-58; № 90 — ქობულეთი, რუსთაველის ქ. № 154; ტელ. 28-51;

სამრეწველო, სასურსათო საქონლის გამყიდველი, მოლარე კონტროლიორი: № 7 ბორჯომი, კოკინაკის ქ. № 3; № 41 — თბილისი, მოსკოვის პრ. № 19, ტელ. 71-53-58; № 76 — ბათუმი, ლერმონტოვის ქ. № 84; ტელ. 3-90-19; № 86 — რუსთავი, ბოლტან-ქალაქის ქ. № 3, ტელ. 19-24-82; № 90 — ქობულეთი, რუსთაველის ქ. № 154, ტელ. 28-51; № 149 ქუთაისი. № 151 — თბილისი, დიღმის მასივი, ტელ. 51-86-15;

სამაცივრო მოწყობილობათა მომსახურე და შემკეთებელი ზეინკლები: № 90 — ქობულეთი, რუსთაველის ქ. № 154, ტელ. 28-51;

რადიოსატელევიზიო აპარატურის მომსახურე და შემკეთებელი რადიომექანიკოსი: № 74 — თბილისი, ჰეჟინაძის ქ. № 10; ტელ. 71-32-35; № 76 — ბათუმი, ლერმონტოვის ქ. № 84, ტელ. 3-90-19; № 133 — თბილისი, დიდიხეივნის ქ. № 9; № 149 — ქუთაისი, წულუკიძის ქუჩა VII შესახვევი № 2.

საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების შემკეთებელი ზეინკალ-ელექტრიკოსი: № 74 — თბილისი, ჰეჟინაძის ქ. № 10, ტელ. 71-32-35; № 149 — ქუთაისი, წულუკიძის ქუჩა VII შესახვევი № 2.

ქალისა და მამაკაცის პარიკმახერი: ქუთაისი № 149 ტექ. სასწავლებელი.

მამაკაცის, ქალის, ბავშვის ზედა ტანსაცმლისა და ქალის მსუბუქი კაბების მკერავ-გამომჭრელი: № 74 — თბილისი, ჰეჟინაძის ქ. № 10, ტელ. 71-32-35; № 76 — ბათუმი, ლერმონტოვის ქ № 84, ტელ. 3-90-19; № 149 — ქუთაისი, წულუკიძის ქუჩა VII შესახ. № 2. № 29; ვალე, სტალინის ქ. № 18-ა, № 80 — თბილისი, გლდანის მასივი, ქერჩის შესახ. № 5, ტელ. 62-07-55; № 86 — რუსთავი, ბოლტან-ქალაქის ქ. № 3, ტელ. 19-24-82;

ქიმწმენდის მეაპარატე, ნავთობბაზების და ავტოგასამართი სადგურების ელექტროზეინკალი: № 74—თბილისი, ჰეჟინაძის ქ. № 10, ტელ. 71-32-35;

კომპლექსური მიმღები პუნქტების შეკვეთების მიმღები: № 74 — თბილისი, ჰეჟინაძის ქ. № 10, ტელ. 71-32-35; № 76 — ბათუმი, ლერმონტოვის ქ. № 84, ტელ. 3-90-19; № 80 — თბილისი, გლდანის მასივი, ქერჩის შესახ. № 5, ტელ. 62-07-55; № 149 — ქუთაისი, წულუკიძის ქუჩა VII შესახ. № 2.

სტერილიზაციის მეაპარატე: № 53 — მახარაძე, სოფ. ლიხაური; № 76 — ბათუმი, ლერმონტოვის ქ. № 84, ტელ. 3-90-19; № 92 — კულაში.

სამელიორაციო სამუშაოთა მექანიზატორი: № 83 — ლანჩხუთი, № 119 — ხობის რაიონი, ს. ხეთა; № 121 — გარდაბანი, საბჭოს ქ. № 108.

ექსკავატორის და ბულდოზერის მემანქანე: № 46 — გალის რაიონი, საბერიო; № 87 — თერჯოლა, ნახშირღელე; № 119 — ხობის რაიონი, ს. ხეთა: № 143 — ქუთაისი; წულუკიძის ქ. № 189; № 155 — ქარელი.

ავტომანქანების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელი ზეინკალი: № 46 — გალი, საბერიო № 77 — ზუგდიდი, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა; № 85 — სართიჭალა, სტალინის ქ. № 93; № 93 — ჩოხატაური, ქვემო ერკეთი. № 96 — წულუკიძე, ლენინის ქ. № 55; № 122 — ახალციხე, რუსთაველის ქ. № 91; № 148 — კასპი.

მეფრინველეობის ფაბრიკისა და ფერმის ოპერატორი: № 159 — ფილიალი № 50 ოჩამჩირე; № 82 — ახალქალაქი; მახარაძის ქ. № 46; № 146 — ბოლნისი, თამარისი.

მეფრინველე-ოსტატი: № 159 — ფილიალი № 50 — ოჩამჩირე; № 146 — ბოლნისი, თამარისი.

მეფუტკრე-ოსტატი: № 93 — ჩოხატაური, ქვემო ერკეთი.

მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორი; № 50 — გალი, სოფ. რეჩხი; № 77 — ზუგდიდი, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა; № 82 — ახალქალაქი, მახარაძის ქ. № 46, № 85 — სართიჭალა, სტალინის ქ. № 93; № 88 — ლაგოდეხი; № 93 — ჩოხატაური, ქვემო ერკეთი; № 96 — წულუკიძე, ლენინის ქ. № 96; № 106 — გორი, ხიდისთავი; № 121 — გარდაბანი; საბჭოს ქ. № 108; № 122 — ახალციხე, რუსთაველის ქ. № 91; № 134 — ბოგდანოვკა, პუშკინის ქ. № 1; № 147 — გომარეთი.

ცხოველების ვეტერინარული დამუშავების ოპერატორი (უმცროსი ვეტფერშალი): № 50 — გალის რაიონი, სოფ. რეჩხი; № 82 — ახალქალაქი, მახარაძის ქ. № 46; № 85 — სართიჭალა, სტალინის ქ.№ 93; № 91 — ცაგერი, ლენინის ქ. № 58; № 98 — წალკა, ავრანლო; № 122 — ახალციხე, რუსთაველის ქ. № 31; № 134 — ბოგდანოვკა, პუშკინის ქ. № 1.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მეცხოველე ოსტატი; № 82 ახალქალაქი, მახარაძის ქ. № 46; № 98 — წალკა; ავრანლო; № 134 — ბოგდანოვკა პუშკინის ქ. № 1.

მეყვავილე-დეკორატორი: № 50 — გალი, ს. რეჩხი.

მეჩაიე ოსტატი: № 77—ზუგდიდი, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

მებაღე: № 96 — წულუკიძე, ლენინის ქ. № 55.

მეხილე-ოსტატი: № 50 — გალი, ს რეჩხი; № 106 — გორის რაიონი, ს. ხიდისთავი; № 118 — ვანი; № 121 — გარდაბანი, საბჭოს ქ. № 108.

მევენახე-ოსტატი; № 88—ლაგოდეხი.

ტრაქტორისტ-მემანქანე: № 50 — გალის რაიონი, სოფ. რეჩხი; № 70 — მარნეული, „იაღლუჯის" დასახლება; № 77 — ზუგდიდი, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, № 82 — ახალქალაქი, მახარაძის ქ. № 46; № 83 — ლანჩხუთი; № 85 — სართიჭალა, სტალინის ქ. № 93; № 87 — თერჯოლა, ნახშირღელე; № 91 — ცაგერი, ლენინის ქ. № 58; № 92 — კულაში; № 93 — ჩოხატაური, ქვემო ერკეთი; № 96 — წულუკიძე, ლენინის ქ. № 55; № 98 — წალკა, ავრანლო; № 106 — გორის რაიონი, ს. ხიდისთავი; № 121 — გარდაბანი, საბჭოს ქ. № 108; № 122 — ახალციხე, რუსთაველის ქ. № 91, № 127 — თელავი, № 128 — თეთრიწყარო; № 134 — ბოგდანოვკა, პუშკინის ქ. № 1; № 147 —გომარეთი, № 155 — ქარელი. № 156 — ამბროლაური; № 158 — ლენტეხი.

სოფლის ელექტრიფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორი: № 93 — ჩოხატაური, ქვემო ერკეთი; № 96 — წულუკიძე, ლენინის ქ. № 55; № 122 — ახალციხე — რუსთაველის ქ. № 91.

წარმოებას მოუწყვეტლივ ქარხნებსა და ფაბრიკებში დასაქმებულ ახალგაზრდებს შეუძლიათ ხარატის, მღარავის, ზეინკლის, მემონტაჟისა და სხვა ლითონდამმუშავების პროფესიების შესწავლა ანდა კვალიფიკაციის ამაღლება თბილისის № 123 საღამოს პროფტექნიკურ სასწავლებელში—კომკავშირელის ქ. №22, ტელ. 74-08-53; თბილისის № 125 საღამოს პროფტექნიკურ სასწავლებელში — ავჭალის გზატკეცილი № 72-ბ; ქუთაისის № 4 პროფტექნიკური სასწავლებლის საღამოს სწავლების განყოფილებაზე. მშენებლის პროფესიებისა — თბილისის № 100 საღამოს პროფტექნიკურ სასწავლებელში — ბუდაპეშტის ქ. № 1; ტელ. 37-63-81; ქიმიური წარმოების პროფესიებისა — რუსთავის № 124 საღამოს პროფტექნიკურ სასწავლებელში — ნიკოლაძის ქ. № 3, ტელ. 12-06-90; ხოლო რკინიგზის მატარებლების გამცილებლებისა — თბილისის № 31-ტექნიკური სასწავლებლის საღამოს განყოფილებაზე.

ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან 30 წლამდე ასაკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულები; საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლებში, სადაც ეს შესაძლებელია, საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებისათვის გახსნილია ცალკეული ტექნიკური ჯგუფები.

ის მოსწავლეები, რომლებმაც სრულად გაიარეს შრომითი სწავლება სკოლაში, სკოლათა შორის სასწავლო საწარმოო კომბინატებში, სასწავლო საამქროებში და უბნებზე, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კურსი, ტექნიკურ სასწავლებლებში ისწავლიან შემოკლებული სწავლების ვადიან ცალკეულ ჯგუფებში.

განცხადება და საბუთები: ატესტატი, სამედიცინო ცნობა (ფ. № 286), სამი ფოტოსურათი (3X4) უნდა შეიტანოთ სასწავლებელში, პასპორტი და სამხედრო მოწმობა (მიწერილობა) წარადგინოთ პირადად. საწარმოებსა და ორგანიზაციების მიერ სასწავლებლად გაგზავნილი ახალგაზრდები ადგენენ შესაბამის მომართვებს.

სასწავლებლებში მსურველთა ჩარიცხვა წარმოებს მიმღები კომისიის მიერ გასაუბრების გზით. ჩარიცხვის დროს ყურადღება ექცევა ატესტატის ნიშნებს. ზოგიერთ სპეციალობაზე, სადაც დიდია კონკურსი და საჭიროა ამა თუ იმ საგნის ღრმა ცოდნა, ეწყობა გამოცდები. ჩარიცხვის დროს უპირატესობა ეძლევა სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ ახალგაზრდებს, საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ მოვლენილ პირებს, საბაზო ორგანიზაციების მუშაკთა შვილებს, ინვალიდების შვილებს, ობლებს, საბავშვო სახლების აღზრდილებს.

სწავლა იწყება არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა.

ის, ვინც უმიზეზოდ არ გამოცხადდება მეცადინეობაზე 10 დღის ვადაში, გაირიცხება სასწავლებლიდან.

სწავლა უფასოა, ახალგაზრდები სწავლის პერიოდში იღებენ სტიპენდიას 30-37 მანეთის ფარგლებში (სპეციალობის მიხედვით), წარჩინებით სწავლის შემთხვევაში სტიპენდია ეზრდებათ 15-25 პროცენტით.

ზოგიერთ რთულ პროფესიაზე საბაზო ორგანიზაციები სწავლების პერიოდში აძლევენ სტიპენდიის დანამატს შესაბამისი პროფესიის მუშის ხელფასის დონემდე. ასევე გადიდებულ სტიპენდიას მიიღებენ აგრეთვე სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი ახალგაზრდები.

საწარმოო სწავლების პროცესში შექმნილი პროდუქციისა და საწარმოო პრაქტიკის დროს შესრულებული სამუშაოსათვის მოსწავლეებს დამატებით მიეცემათ გამომუშავება დადგენილი წესის მიხედვით.

მსურველები დაკმაყოფილდებიან ბინით საერთო საცხოვრებლებში შესაძლებლობის მიხედვით.

საკვალიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ დიპლომი, ფრიადზე სწავლისათვის კი წარჩინების დიპლომი.

სწავლის ვადა 1-2,5 წელია, შემოკლებული ვადა კი 7-10 თვე. სწავლების პერიოდში ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს ეძლევათ საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის გადავადება. სწავლის პერიოდი ითვლება მუშაობის საერთო სტაჟში.

სწავლის დამთავრების შემდეგ ყველა კურსდამთავრებული განაწილდება სამუშაოდ პროფესიის მიხედვით ძირითადად საბაზო ორგანიზაციებში. მომართვებით მოვლენილი ახალგაზრდები დაბრუნდებიან უკან შესაბამის ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

წარჩინების დიპლომის მქონე კურსდამთავრებულები უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას სარგებლობენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ოქროს მედალოსანთა უფლებებით.

იმ კურსდამთავრებულებს, რომლებსაც ყველა საგანში ექნებათ შეფასება „ფრიადი და კარგი" და საკვალიფიკაციო გამოცდებს ჩააბარებენ „5"-ზე, სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით უფლება ეძლევათ სწავლა გააგრძელონ უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

КОМУНИСТИ ИНДЕКС უე 09301 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.